სახელმწიფო ყველა წიგნის პალატა

მეოთხე წელიწადი

# კომუნისტი

საქართ. კომუნისტური პარტიის
ცენტრალური და თბილისის
კომიტეტის
და სრულიად საქართველოს მუშათა, გლეხთა, წითელარმიელთა და მეზღვაურთა დეპუტატების საბჭოების
ცენტრ. აღმასკომის
ორგანო

რედაქცია
თბილისი, რუსთაველის პროსპექტი № 24, მეორე სართული

მთავარი კანტორა
თბილისი, რუსთაველის პროსპექტი, 24
ტელეფონი 10—49

რედაქციაში საქმისათვის მოლაპარაკება შეიძლება ყოველდღე გარდა კვირა-უქმეებისა 10—11 საათ.
ტელეფონები (რედაქტორის 14—76
(მდივანის 10—58

ხელისმოწერის ფასი: მუშა-მოსამსახურეთ —65 კ., დანარჩ. ქალაქში—85 კ. ქალაქს გარეთ 95 კ. განცხადებები: ნომპარელის სტრიქონით—20 კ. აწყობა ციფრებით—25 კ. ა. | კ. ბ. გარეშე—40 კ. აწყობა ციფრებით—60 კ., შუა გვერდებში—ორჯერ მეტი. სამგლოვიარო განცხადება—5 მან., განმეორებითი განცხადება 15 პროცენტ. შელავათით. განცხადება მიიღება ნაშუადღ. 3 საათამდე.

№192 (1047) კვირა 24 აგვისტო 1924 წ.

ყოველდღიური გაზეთი

ფასი 4 კ. № 192 (1047)

ეროვნული ბიბლიოთეკა

## დღიური

— საფრანგეთის დეპუტატთა პალატამ დაადასტურა ერრიოს მოქმედება ლონდონის კონფერენციაზე.

— საბერძნეთის სამხედრო გემებზე მოხდა აჯანყება; მთავრობა ანიარაღებს მეზღვაურებს.

— იტალიის მთავრობამ მოიწონა იტალიის დელეგაციის მუშაობა ლონდონის კონფერენციაზე.

— გენერალ ნოლლემ განაცხადა, რომ რურის დაცლის შემდეგაც საფრანგეთი კანტროლს გაუწევს გერმანიას.

— მატეოტის დამარხვაში მონაწილეობა მიიღო 10 ათასმა კაცმა.

— გერმანიის მთავრობა აპირებს რეიხსტაგის დათხოვნას.

---

ორშაბათს, 25 აგვისტოს, საღამოს 7 საათზე, სახალხო სახლში (ყოფ. ზუბალაშვილის სახელობის) დანიშნულია

### თბილისის საბჭოს მორიგი სხდომა

დღის წესრიგი:

1) საბჭოს დებულების განხილვა.
2) მიმდინარე საკითხები.

დასწრება ყველა წევრთა და კანდიდატთა სავალდებულოა.

1435 2—2 პრეზიდიუმი.

---

ორშაბათს, 25 აგვისტოს, საღამოს 5 საათზე, სახალხო სახლში (ყოფ. ზუბალაშვილის სახელობის) დანიშნულია

### თბილისის საბჭოს ფრაქციის სხდომა

დღის წესრიგი:

1) საბჭოს დებულების განხილვა.
2) მიმდინარე საკითხები.

დასწრება ყველა წევრთა და კანდიდატთა სავალდებულოა.

ნ. 1436 2—2. პრეზიდიუმი.

## წლის თავზე

გასული წლის 25 აგვისტოს გაიხსნა სრულიად საქართველოს ყოფილ მენშევიკთა ყრილობა, რომელმაც ოფიციალურად გამოაცხადა საქართველოს მენშევიკური პარტია და მტკიცედ შესდგა საბჭოთა ხელისუფლების და კომინტერნის პლატფორმაზე.

ამ ყრილობაზე საქართველოს სოციალ-დემოკრატიული პარტიის 12000 წევრმა მუშათა კლასისთვის საზიანო და დამღუპველად იცნო თავის ყოფილ ხელმძღვანელთა პოლიტიკა, რომელიც აშკარა კონტრ-რევოლიუციონური იყო და ბურჟუაზიის გაბატონებას ისახავდა მიზნათ.

ამ ყრილობაზე მენშევიკ ბელადთა მიერ მოტყუებულმა საქართველოს მუშათა კლასის ნაწილმა თუმცა დაგვიანებით, მაგრამ მაინც მონახა თავისი ადგილი სოციალისტური რევოლიუციისათვის მებრძოლ მუშათა კლასის საერთაშორისო ოჯახში. მენშევიკური პარტიის უძველესი და უკეთესო წევრების უმრავლესობამ, პარტიის მუშურ-გლეხურმა ნაწილმა სიკვდილი განაჩენი გამოუტანა თავის ხელმძღვანელებს, გაუქმებულათ გამოაცხადა რა მათი მანდატები და მენშევიკური ორგანიზაციები.

მენშევიკური პარტიის დაშლას [illegible] საქართველოს ახალგაზრდა [illegible] ორგანიზაციის ლიკვიდაცია. პარტიის ხელმძღვანელთა პოლიტიკა მიუღებლად იცნო პარტიის ძველ წევრებთან ერთად მენშევიკური პარტიის მიმდევარმა ახალგაზრდობის უმრავლესობამაც, რომელიც აგრეთვე დადგა კომინტერნის და საბჭოთა ხელისუფლების დროშის ქვეშ.

მენშევიკური პარტია მოკვდა, მის უკეთესო და გამოფხიზლებულმა ნაწილმა მხოლოდ კომუნისტური პარტიის მიერ წარმოებული პოლიტიკა იცნო თავისთვის მისაღებათ და სწორათ. მენშევიკური პარტიის ავანტიურისტული ცეკა ამის შემდეგ ჰაერში გამოკიდებული დარჩა და მის ბნელ მოღვაწეობას საქართველოში გამოეცალა ნიადაგი.

საზღვარ გარეთ გადახვეწილ მენშევიკთა ბელადებისთვის და თვით მეორე ინტერნაციონალისათვისაც ეს ისეთი მწარე და საშინელი განაჩენი იყო, რომლის მონელება მათ არ შეეძლოთ. ყრილობის მიერ მიღებულ დადგენილებებს ისინი კომუნისტური პარტიის ზეგავლენით და ჩვენი საგანგებო კომისიის ძალადობით ხსნიდენ და იმედს არ კარგავდენ, რომ მათი გზიდან წასული ამხანაგების დიდი უმრავლესობა ისევ მათ რიგებს დაუბრუნდებოდენ.

და აი საქართველოს მენშევიზმის პატრიარქი ნოე ჟორდანიაც მოწოდებებს მოწოდებებზე აგზავნის თავის ყოფილ სამწყსოში მენშევიზმის მკვდარი ლეშისთვის სულის ჩასაბერად, მის ფეხზე წამოსაყენებლად.

იმავე დროს ის კვლავ განაგრძობს კაპიტალისტური ევროპის პრემიერთა კარებზე ხეტიალს, რომ იქნებ თუ არა ნამდვილი „მოწყალება“ სანუგეშებელი სიტყვა მაინც გაიგონოს იქიდან.

მაგრამ არც საქართველოში და არც მის გარეთ მთელი წლის განმავლობაში მენშევიკთათვის სასიხარულო და სანუგეშო არა მომხდარა რა. ვერც შიგნით აჯანყებას და ვერც საზღვარგარეთიდან რაიმე დახმარების მიღებას მენშევიკები ვერ ეღირსენ.

საქართველოს მშრომელი ხალხი სავსებით ჩამოსცილდა მენშევიკთა გავლენას და ჩაებმულია მშვიდობიან აღმშენებლობითი მუშაობაში საბჭოთა მთავრობის ხელმძღვანელობით. წყალწაღებულ მენშევიკთა ბელადების უსაფუძვლო იმედებს და დედაბრულ ჭორიკანობას აღარავითარი გასავალი ჩვენში აღარ აქვს.

დიდ ენერგიას ხარჯავდენ მენშევიკები კაპიტალისტურ ევროპასთან ჩვენი დამოკიდებულების გასამწვავებლად, ევროპის ჩვენს წინააღმდეგ ამხედრებლად. დიდ იმედებს ამყარებდენ ისინი კერძოდ ინგლისის პრემიერ მაკდონალდზე, როგორც მათ თანამებრძოლზე მეორე ინტერნაციონალიდან, მაგრამ უკანასკნელმაც გაუცრუვა მათ ყოველგვარი იმედი და ყველას გასაგონათ განაცხადა, რომ ის საბჭოთა კავშირის შინაურ საქმეებში ვერ ჩაერევა. მაკდონალდმა ინგლისის მუშათა კლასის ზეგავლენით იურიდიულათ კიდეც იცნო საბჭოთა კავშირი და უკანასკნელ დროს სრული შეთანხმების ხელშეკრულებაც დასდო მასთან.

საქართველოში გამოგზავნილმა მენშევიკთა „რწმუნებულებმა“ თავის პარტიის დავალებების შესრულების ნაცვლად საგანგებო კომისიის საკანებში ნახეს „მყუდრო“ ბინა. საქართველოს ცალკე აჯანყების გამოწვევის შესახებ ეხლა თვით ჟორდანიაც ველარ ოცნებობს და ეხლა ის პირველად ყოვლისა კავკასიის მთიულ ხალხების აჯანყებაზე ოცნებობით ირთობს თავს. მაგრამ ამ ახალი გეგმის განხორციელება ხომ ალბათ არც თვით მის ავტორს სჯერა. ან რომელი გეგმის განხორციელება შესძლეს მენშევიკებმა, რომ ამ უკანასკნელსაც იგივე ბედი არ ეწვიოს?

„წყალწაღებული ხავს ეკიდებოდაო“ და მენშევიკთა ბელადებიც სულ ახალ ახალ ფანტასტიურ გეგმებს თხზავენ თავის პარტიის გადასარჩენათ, მაგრამ მკვდრის გაცოცხლება, რომელიც მისმა ყოფილმა პირისუფლებმა შარშანვე დაიტირეს და მძიმე ლოდიც დაადვეს მკერდზე, შეუძლებელია. ერთად ერთი საშვალება თავის გადარჩენისა არის ამ მკვდარ პარტიიდან გაქცევა, რაც კიდეც მოიმოქმედა ამ პარტიის საუკეთესო ნაწილმა ჯერ კიდევ ერთი წლის წინათ. მას შემდეგ მენშევიკური პარტიის უარმყოფელთა და მგმობელთა რიცხვი დღითი-დღე იზრდებოდა.

მენშევიკური პარტია მოკვდა და ნოე ჟორდანიას „რეცეპტები“ და „რწმუნებულები“ მას ველარ უშველის. საბჭოთა ხელისუფლებას ისე მტკიცედ და მაგრად აქვს გადგმული ფესვები, რომ შეუძლებელია მისი შერყევა, მისი გავლენის შესუსტება საქართველოში.

ჩვენი პარტიის რიგები სულ ამ ერთი წლის განმავლობაში თვალსაჩინოდ გაიზარდენ. მთელი საქართველოს მუშათა კლასი და გლეხობა თავის ინტერესების ერთად ერთ დამცველათ ჩვენს პარტიას იცნობს და საბჭოთა კავშირის მშრომელ მასასთან ხელი-ხელ ჩაკიდებული დღითი-დღე ამტკიცებს ჩვენი რესპუბლიკის საშინაო და საგარეო მდგომარეობას.

მოკვდა მენშევიკური პარტია და მას თან მიჰყვა მთელი საქართველოს კონტრ-რევოლიუცია. სპეკულიანტური და ბანდიტური ელემენტებით ვერც მენშევიკები და ვერც მათი მოკავშირე სხვა კონტრ-რევოლიუციონური პარტიები შორს ვერ წავლენ.

ჩვენი კონტრ-რევოლიუციის იმედები არ გამართლდა, ეს დღეს კარგათ იციან საზღვარგარეთის კაპიტალისტურმა მთავრობებმაც, რომლებიც მენშევიკთა გოდებას ყურს აღარ ათხოვებენ და მტკიცე, ეკონომიურ-პოლიტიკურ ურთიერთობას იკავებენ ჩვენთან.

მენშევიკური პარტიის სიკვდილის წლისთავზე ამ პარტიიდან გამოსულები და საბჭოთა ხელისუფლების პლატფორმაზე დამდგარი ამხანაგები ერთხელ კიდევ წყევლა-კრულვით მოიხსენიებენ თავის ლიდერთა შავბნელ კონტრ-რევოლიუციონურ მოღვაწეობას.

მენშევიკური პარტიის დაშლის ერთი წლის თავზე ჩვენ შეგვიძლია თამამად აღვიაროთ, რომ ჩვენი პოლიტიკა სწორი გამოდგა, რომ ჩვენ პოლიტიკას იზიარებს მთელი საქართველოს მუშათა კლასი და გლეხობა. საქართველოს კომპარტიის გარშემო დღეს თავს იყრის საქართველოს მუშათა კლასის და გლეხობის ის ნაწილებიც, რომლებიც წინედ მენშევიკთა დროშას მიჰყვებოდა.

ჩვენ გავიმარჯვეთ. გაუმარჯოს ერთი წლის წინედ გამოფხიზლებულ ჩვენს ამხანაგებსაც.

## კულტურულ ფრონტზე მუშაობისათვის

წერა და ლაპარაკი სოფლად კულტურულ მუშაობის გაძლიერების შესახებ ზედმეტია. ბევრი ვიბაასეთ ამ საკითხის გარშემო. საკითხი საკმაოდ გაშუქებულია. საქმე მხოლოდ პრაქტიკულ მუშაობას შეეხება. პრაქტიკულად კი ჯერ კიდევ მრავალი რამეა გასაკეთებელი.

ადგილობრივი ორგანოები დიდს ეკონომიურს აღმშენებლობას ეწევიან. გაყავთ გზები, არხები, აშენებენ სკოლებს, მუშათა სახლებს, ელექტრონულ სადგურებს, აქა-იქ „ფაბრიკებსაც“ აწყობენ. ყოველივე ეს ნაბიჯი თავისთავად ჰგულისხმობს კულტურულ მოთხოვნილებათა გაძლიერებას. გლეხ-კაცობის სულიერი საჭიროება ვითარდება სოფლის ეკონომიკის აღორძინებასთან ერთად. იგი უშუალო შედეგია ეკონომიურ აღმშენებლობის. ეკონომიურ სფეროში კი ბევრი რამ საგულისხმო გაკეთდა, კეთდება დღეს და გაკეთდება მომავალშიც. შედარებით, კულტურულ მუშაობის დარგში პროპორცია არაა დაცული. იქ ისეთივე „გაბედული“ ნაბიჯები ველარ იდგმება, როგორც ეკონომიურ აღმშენებლობაში.

რა არის ამის მიზეზი? რასაკვირველია, არა გულგრილობა მხოლოდ. არა მარტო სუბიექტიური პირობები. პროვინციაში ყოველი ამხანაგი, ყოველი შეგნებული მშრომელი გულმტკივნეულად აღნიშნავს კულტურულ მუშაობის შეუფერებელ დონეზე დაყენებას. პროვინციის ცხოვრება მზადაა დაეწაფოს კულტურულ ფრონტს და დაიპყროს იგი, მაგრამ საგულისხმო შედეგები მაინც არ გვაქვს დღემდე მიღებული.

კულტურულ აღმშენებლობის დარგში ჩვენ აღვნიშნავთ უმთავრესად სკოლას და თეატრს. ეს ორი „იარაღი“ ყველაზე მნიშვნელოვანია თავისი დანიშნულებით და პრაქტიკული შედეგებით. სკოლა ზრდის მომავალ თაობას, წრთვნის ნორჩ ძალებს, ამზადებს „ახალ საზოგადოებას“. თეატრი—აღმზრდელია „აღზრდილების“ მოზრდილ თაობის. ის ახდენს „თანამედროვე საზოგადოების“—გლეხკაცობის სულიერ თვისებების „ფაბრიკაციას“, გადასალისებას, გადაკეთებას. ბურჟუაზიული პუბლიცისტები მასსის დამორჩილების ძალას რელიგიასა და ეკლესიაში ხედავენ. „ნეტარხსენებულმა“ ლოიდ-ჯორჯმა ბურჟუაზიულ „გონების“ დამახასიათებელი ფორმულა მოგვცა: ეკლესია ის ცენტრალური ელექტრონული სადგურია, რომელსაც ხალხში შეაქვს მთავრობის „კეთილი“ სურვილები და მოქმედებანიო. ბურჟუაზია მასსის განვითარებას არ ეძებს, მისი მიზანი მასსის დამორჩილებაა. იარაღი—ეკლესიაა, სამღვდელოება, მოკლეთ—რელიგია თავისი ატრიბუტებით. საბჭოთა ხელისუფლება ამ საკითხშიაც დაპირისპირებულია ბურჟუაზიულ საზოგადოებრივ აზრებსა და შეხედულებებთან. ჩვენ ვებრძვით ეკლესიას როგორც მასსის დამონავების, გონებრივ სიბნელის იარაღს. ვაყენებთ მორევს—სკოლას და თეატრს. სკოლა და თეატრი საბჭოთა ქვეყნებში, ეკლესია და მონასტრები ბურჟუაზიულ სახელმწიფოებში—აი ორი სურათი, გადაშლილი დედამიწის ზურგზე.

სრული სიამაყით შეიძლება ითქვას, რომ სკოლების საქმე საბჭოთა საქართველოში მეტად მკვიდრ ნიადაგზეა დამყარებული. გვყავს აუარებელი მოწაფეობა, პოლიტიკურად და სოციალურად, აგრეთვე პედაგოგიურადაც საიმედო და მომზადებული მასწავლებლობა. ჩვენში გაკეთდა ისრის 10 პროცენტიც კი არ ჰქონდათ მენშევიკებს თავის სამოქმედო „გეგმაში“ გათვალისწინებული.

მაგრამ მოუწყობელია თეატრის საქმე. პროვინციის თეატრები და კულტურული დაწესებულებები ვერ წარმოადგენენ სანუგეშო სურათს. განსაკუთრებით ეს ითქმის სოფლების ცხოვრებაზე. სოფლად ამ ჟამად სულ სხვა მდგომარეობაა და სულ სხვა განწყობილება. უამრავ სულის მამებს გამოეკეტათ „წისქვილი“—ეკლესიები, ახლა ჯერი იმაზეა მიმდგარი, თუ როგორ გამოვიყენებთ „ღვთის ტაძრებს“. მართალია, ჩვენს ქვეყანაში გაუქმებულ 1200 ეკლესიიდან 1000 კულტურულ სახლებათაა გადაქცეული. ეს დიდი ნაბიჯია, მაგრამ საკითხი ამით სავსებით არ ამოიწურება. ფორმალობას, გარეგნობას მეტი ადგილი აქვს დათმობილი, ვინემ შინაარსს არსებითად. შინაარსი კი ვერაა დამაკმაყოფილებელი. სოფელს არ გააჩნია სათეატრო შენობები. ეკლესია „თეატრადაა“ გადაქცეული, მაგრამ წარმოდგენა იქ მაინც არ იდგმება ისე ხშირად, სისტემატიურად, როგორც ეს არის საჭირო გარდატეხის, რელიგიურ გრძნობიდან საღ გონებაზე გადასვლის პერიოდში.

ტყუილია, უსაფუძვლოა, სიმართლეს მოკლებულია ის თქმა, ხომ გლეხკაცობა გაურბის ყოფილ ეკლესიებს. პირიქით, გლეხობა დიდათ ეტანება ეკლესიებში გამართულ საღამოებს, წარმოდგენებს, გასართობებს. უკანასკნელ ხანებში შემჩნეულია დიდი სულიერი გარდატეხა თვით მოხუცებულებსა, „სამარის პირთან მდგომთა“ შორის. წარმოდგენებზე არა ერთს და ორ ჭაღარიანს შევამჩნევთ. ეს არის უდიდესი გამარჯვება ჩვენი რევოლიუციონურ ანტირელიგიურ პოლიტიკის და საქმიანობის. ამას კარგად ხედავენ ჩვენი მტრებიც. პატარა ფაქტი უმნიშვნელოვანესია დიდ მოსაზრებასა და „თეორიაზე“.

მაშ რატომ მოიკოჭლებს თეატრალური მუშაობა? ამის მიზეზი ორია: შესაფერ ძალების უქონლობა, შესაფერ ლიტერატურის უქონლობა. ეს ორი მიზეზი აბრკოლებს საქმეს. მისი დაძლევა აუცილებელია. წინააღმდეგ შემთხვევაში ჩვენ ვერ შევსძლებთ რელიგიასთან ბრძოლის და კულტურულ პოზიციების შერჩენა-გამაგრებას. ამიტომ ამ მიმართულებით ამთავითვე უნდა მივიღოთ შესაფერი ზომები. უნდა მოვამზადოთ თეატრალური კადრი. ასეთი უნდა შევქმნათ ყველა საშუალო სკოლებთან და მისთვის გავიღოთ საჭირო მატერიალური და ფინანსიური სახსარი. ჩვენი ახალგაზრდობა დიდი ხანია მზადაა ამ ფრონტზე მუყაითად და თავდადებით იმუშაოს. საჭიროა მხოლოდ მისი გამოწვევა, გამხნევება, კულტურულ მოღვაწეობის ასპარეზზე გამოყვანა.

მეორე ზომა ლიტერატურის შექმნაა. ქართულ ენაზე არ გვაქვს შესაფერი ლიტერატურა თეატრისათვის. არ მოგვეპოვება რევოლიუციონური, ხალხოსნური, რეალისტური, პოპულიარული პიესები. მძიმე დრამების დადგმა სოფლად მიზანშეუწონელია. მშრომელი მასსა „დრამატიზმის“ გუნებაზე როდია, ან იმდენად მომზადებული, რომ ასეთი პიესა მოისმინოს. აქ საჭიროა სულ სხვა ხერხი. იოლიდან ძნელისაკენ—ასეთია სწორი გზა. სამწუხაროდ, დღემდე არ გვაჩნია მასსიური თვალსაზრისით მისაღები რეპერტუარი არა მარტო პროვინციას დაბა-ქალაქებში, თბილისშიაც კი. ამიტომ მთელი ძალ-ღონე უნდა ავამოქმედოთ, შესაძლებლობის მაქსიმური ამოვწუროთ, და პროვინციის თეატრებისათვის ქართულ ენაზე შევქმნათ საკმაო თეატრალური ლიტერატურა. არ უნდა მოვერიდოთ თარგმანს, გადმოკეთების კომპილიაციას, მით უმეტესად—ორიგინალურ ნაწარმოებს.

შემდეგი ღონისძიებაა მოძრავი პროლეტარული დასის შექმნა. „მოძრავი თეატრი“ მეტად მნიშვნელოვანი მოვლენაა უსათუოდ. ევროპაში ასეთ თეატრს ქმნის მოწინავე პროლეტარიატი. პროლეტარული დასი უმართავს წარმოდგენებს მუშებს თვით მაღაროებშიაც კი. ჩვენში ეს მეთოდი შეიძლება უფრო ფართოდ მოვიხმაროთ და განვავითაროთ. რამდენად ვიცი, ასეთი აზრი უკვე წარმოიშვა ჩვენს მოწინავე მსახიობ-მოღვაწეთა შორის. უეჭველია, თბილისის მუშა-მსახიობები აღტაცებით შეხვდებიან „მოძრავი თეატრის“ აზრს და მას კიდევაც გაანაღდებენ სინამდვილეში. აქაც საჭიროა ჩვენი ჩარევა საქმეში, შესაფერი ნაბიჯის გადადგმა, შესაფერი გეგმის გამომუშავება მომავალში სამუშაოდ.

საბჭოთა ხელისუფლება მშრომელ მასსის კულტურულადაც დაწინაურების ხელისუფლებაა. ის შესძლებს კულტურულ ფრონტის გაწმენდას ყოველგვარ დაბრკოლებისაგან.

გ. მ—ლი.

## შენიშვნები

### ბრძოლა პროსტიტუციის წინააღმდეგ

„ვინაიდან უკანასკნელად ეპიდემიური ხასიათი მიიღო ვენერიულმა ავადმყოფობამ დაზღვეულთა შორის, დამზღვევმა კასამ გადასწყვიტა საავადმყოფოებთან გახსნას სპეციალური განყოფილებები როგორც ცენტრში, ისე პროვინციაში“,—ასეთ ცნობას წავაწყდი ამას წინედ გაზეთში.

აგრეთვე ძალიან ხშირად ვკითხულობთ ადგილობრივ პრესაში, რომ ამა და ამ სახლში აღმოჩენილ იქნა პროსტიტუციის „პრიტონი“, საბუდარი, რომ „მაჰანკლები“ გასამართლებულ იქნენ და სხ.

საღამოობით და უფრო გვიან გაიარეთ თბილისის მთავარი თუ მივარდნილი ქუჩები, შეიხედეთ ბაღებში, კლუბებში და სხვა ასეთ ადგილებში,—ყველგან შეამჩნევთ სხეულით მოვაჭრე „პროფესიის“ ხალხს.

პროსტიტუცია ფართედ მოდებულია ჩვენში და საშიშ ხასიათს ღებულობს. ის თავის ჭაობში ითრევს მუშა-მოსამსახურეს, წითელ არმიელს და სხ.

შედეგი?—ვენერიული სნეულებანი, რის შესახებ ცნობა ზევით ამოვწერეთ, სხვა ათასგვარი უბედურება, ხალხის ფიზიკური გადაშენების საფრთხე.

პროსტიტუციის სათავე კერძო საკუთრებაზე აგებული წყობილებაა და ამასთან დაკავშირებული ეკონომიური გაჭირვება, რომელიც ქალთა მასსის ერთ ნაწილს ქუჩისაკენ ერეკება.

მაგრამ ჩვენ დღეს ვერ შევჩერდებით ამ სოციალური ბოროტების წარმომშობ მიზეზებზე, მით უფრო, რომ ეს მიზეზები საერთოდ ისედაც ცნობილია.

ჩვენთვის უფრო მნიშვნელოვანია იმის გამორკვევა, თუ რანაირი პრაქტიკული ზომებით შეიძლება უფრო ნაყოფიერი ბრძოლა ამ სენთან.

პირველ ყოვლისა უნდა გავარჩიოთ პროსტიტუციის მიმდევარ ქალთა ორგვარი კატეგორია.

ბლომად არიან ყოფილი არისტოკრატიული და ბურჟუაზიული „დამები“ თუ „ბარიშნები“, შეჩვეულნი წინედ ხელგაშლილ, განებივრებულ ცხოვრებას. ბევრი მათგანის ეკონომიური მდგომარეობა საგრძნობლად შეირყა ბოლო დროს, მაინც არც ისე, რომ არ შეეძლოთ პატიოსანი შრომით „არსებობის პურის“ მოპოვება. მაგრამ ისინი არ კმაყოფილდებიან „ცხოვრების მინიმუმით“, ხელს არ იღებენ ძველებურს ფუფუნებაში დროს გატარებაზე, ამასთან არაფრად ეპაშნიკებათ სამსახური და გარჯა. ასეთი ელემენტები ავსებენ „პროსტიტუციის ბაზარს“. ამგვარად, მათ „ვაჭრობას“ უშუალო საფუძვლად უდევს არა იმდენად ეკონომიური აუცილებლობა, რამდენად გარყვნილება.

მეორე ჯგუფს ეკუთვნიან ნამდვილად ღატაკი და უმუშევარი ქალები. მათ არსებობის მცირე საშუალება რო ჰქონდეთ, პროსტიტუციის გზას არ დაადგებოდნენ, მას თავს გაანებებდნენ.

პროსტიტუციასთან ბრძოლის დროს, თავისთავად ცხადია, ჩვენი მზრუნველობის საგანი პირველ ყოვლისა არიან მშრომელი, კერძოდ უმუშევარი ქალები.

ჩვენ უნდა ვცდილობდეთ უმუშევარ მშრომელ ქალებისათვის სამუშაობების გაჩენას. წარმოება-დაწესებულებებში თავისუფალ ადგილებზე მუშა-ხელის გაგზავნის დროს მათ უნდა მიექცეს განსაკუთრებული ყურადღება. მათგან უნდა მოვაწყოთ არტელები—მკერავთა, მრეცხავთა, მზარეულთა და სხ. ამით ჩვენ ვიხსნით მათ პროსტიტუციის ბრჭყალებიდან. სახელმწიფომ, პროფკავშირებმა და სხვა სათანადო ორგანოებმა ამ მიზნისათვის უნდა გაიღონ მატერიალური საშუალებანი.

ცაკთან არსებობს მშრომელ ქალთა ყოფა-ცხოვრების გამაუმჯობესებელი კომისია (რომელიც აგრეთვე აწარმოებს პროსტიტუციასთან ბრძოლას) მაგრამ მისი მუშაობა დღემდე არ არის თვალსაჩინო. მან უნდა შესძლოს საზოგადოებრივი ინიციატივის ამოძრავება დასახულ ამოცანების გარშემო.

საჭიროა სპეციალური სახლების გახსნა უპატრონო ქალებისათვის, სადაც ისინი დროებით მიიღებენ სამკურნალო, იურიდიულ და მატერიალურ დახმარებას, რომ შემდეგში მოწყობილ იქნენ სამუშაოზე, ან გადაგზავნილი მუდმივი საცხოვრებელ ადგილას. აქ უნდა ხდებოდეს თვითეული მათგანის ვინაობის შესწავლა. იმათთვის, ვინც გასწორების და მორჩენის იმედს არ იძლევა და საბოლოოდ ჩაფლულა გარყვნილების მორევში,—უნდა მოეწყოს საიზოლიაციო სახლები.

პროკურატურამ და მილიციამ უსასტიკესი ბრძოლა უნდა გამოუცხადოს „მაჰანკლებს“. უნდა ძირფესვიანად აღმოიფხვრას გარყვნილების ფარული ბუდეები.

მუშა-მოსამსახურეთა და წითელარმიელთა შორის უნდა მოეწყოს საუბრები პროსტიტუციის და ვენერიულ ავადმყოფობათა შესახებ.

ასეთი გზით რამოდენიმედ მაინც შევზღუდავთ პროსტიტუციის აღვირახსნილობას და მის დამღუპველ შედეგებს.

ნ. ძ.

# ეხლა რიგი საფრანგეთზეა

## შეთანხმება ინგლისთან დამტკიცებული იქნება თემთა პალატაში

## კონსერვატორები კამპანიას ეწევიან ხელშეკრულების წინააღმდეგ

### ოსმალეთის პრესა ინგლისთან შეთანხმებას ჩვენს დიდ გამარჯვებათ სთვლის

## ვალების გაუქმება

### ამხ. კამენევის საინსტრუქციო მოხსენება

**მოსკოვი.** 23 აგვისტო. 22 აგვისტოს ამხ. კამენევმა გააკეთა მოსკოვის აქტიურ მუშაკთა წინაშე საინსტრუქციო მოხსენება საბჭოთა კავშირის საერთაშორისო და შინაურ მდგომარეობის შესახებ.

დაახასიათა რა ინგლის-საბჭოთა კავშირის ხელშეკრულება ამხ. კამენევმა აღნიშნა რომ ინგლისთან მიღწეული შეთანხმება გულისხმობს საბჭოთა ხელისუფლების სრულ ცნობას მიწების და სხვის მრეწველობის ნაციონალიზაციას, ვალების გაუქმების და რევოლიუციის დანარჩენ მონაპოვართა აღიარებას. ამიერიდან ყველა მთავრობებმა, რომელსაც ჯერ კიდევ არ განუახლებიათ ჩვენთან ნორმალური ურთიერთობა ანგარიში უნდა გაუწიონ ოქტომბრის რევოლიუციით შექმნილ წესწყობილების შეურყევლობას. ამხ. კამენევი აღნიშნავს, რომ ხელშეკრულებაში არ არის არავითარი ვალდებულება ჩვენის მხრივ, არამედ მასში განსაზღვრულია ის ჩარჩოები, რომლებშიაც უნდა სწარმოებდეს შემდეგი მოლაპარაკება.

„ჩვენ არ მიგვიღია ვალდებულება ამ ხელშეკრულებით, ამბობს ამხ. კამენევი, გადავიხადოთ თუნდაც ერთი კაპეიკი, მაგრამ ჩვენ [illegible] ახალ სესხს, რომელიც [illegible] გვექნება ჩვენი მრეწველობის საშუალებათა გასაძლიერებლად და სასოფლო-მეურნეობის განსავითარებლად და იმდენად, რამდენადაც ეს სესხი ჩვენთვის ხელსაყრელი იქნება.

შემდეგ შეადარა რა ჩვენი მდგომარეობა გერმანიის სახალხო მეურნეობის მდგომარეობას, ამხ. კამენევი ვრცლად შეეხო დოუესის პროექტს, რომელსაც ის უწოდებს სამარცხვინო გარიგებას გერმანიის პროლეტარიატის ხარჯზე, გარიგებას, რომელიც გერმანიის მეურნეობას აყენებს ამერიკის, ინგლისის და საფრანგეთის კაპიტალის კოლონიალურ განყოფილების მდგომარეობაში.

ინგლისის შემდეგ ჩვენთან მოლაპარაკებას დაიწყებს საფრანგეთი. მაგრამ საქმე რთულდება იმ გარემოებით, რომ რუსეთის კაპიტალისტების და მემამულეებს უფრო მეტი მართებთ საფრანგეთის კაპიტალისტების, ვიდრე ინგლისის ბანკირების.

ახასიათებს რა საერთო მდგომარეობას ამხ. კამენევი ამბობს, რომ მოსალოდნელია კიდევ ახალი სიძნელენი ეკონომიურ ფრონტზე.

შინაურ ცხოვრებაში და ჩვენ მეურნეობაში უდიდეს როლს თამაშობს მოსავალი. ჩვენი პურის ბალანსი წელს აღწევს 2.800 მილ. ფუთს. ეს თითქმის შარშანდელი ციფრია. მაშასადამე პურის ნაკლულოვანება არ იქნება, მიუხედავად იმისა, რომ მოუსავლიან ადგილების სიდიდე უდრის 7 მილ. დესეტინას.

შემდეგი მთავარი ჩვენი ამოცანაა პროლეტარულ ცენტრების სურსათსანოვაგით უზრუნველყოფა.

„ჩვენი მრეწველობაო, ამბობს ამხ. კამენევი, უკანასკნელ თვეებში სულ უფრო და უფრო ფართოვდება. მიუხედავად მოუსავლობისა სამრეწველო საგნებზე მოთხოვნილება იზრდება.

აღნიშნავს რა ნავთის და ნახშირის მრეწველობის წარმატებას ამხ. კამენევი დაასკვნის:

„მთავარი საერთაშორისო საშიშროება-ეკონომიურ ფრონტზე იზოლიაცია—უნდა ვსძლიოთ ჩვენი მრეწველობის სისტემატიური და დარაზმული შეტევით და სასოფლო-მეურნეობის აღორძინებით. თუ ჩვენ ამ საფრთხეს დავსძლევთ ჩვენი ვალიუტა განმტკიცდება, მრეწველობის აღორძინება უზრუნველყოფილი იქნება და მაშინ შევევაჭრებით ინგლისელებს და ფრანგებს იმ პროცენტების შესახებ, რომელსაც ისინი ჩვენგან მოითხოვენ“.

## საბჭოთა გემების საკითხი

### სავაჭრო ხელშეკრულება ინგლისთან.

**მოსკოვი.** 23 აგვისტო. გამოქვეყნებულია 8 აგვისტოს ლონდონში ამხ. რაკოვსკის და მაკდონალდის მიერ ხელმოწერილი სავაჭრო ხელშეკრულება საბჭოთა კავშირსა და ინგლისს შორის. ხელშეკრულება შეიცავს 20 მუხლს და ოქმს. ოქმის შემდეგ მოთავსებულია ინგლისის და საბჭოთა დელეგაციების დეკლარაციები, რომლებიც გამოქვეყნებული იყო ხელშეკრულების ხელის მოწერის დროს.

საბჭოთა დელეგაციის დეკლარაციაში ნათქვამია, რომ საბჭოთა კავშირის მთავრობა ინარჩუნებს უფლებას ყოფილ რუსეთის სამხედრო და ნაციონალიზაციაქმნილ სავაჭრო ფლოტზე, რამდენადაც ეს გემები არ ყოფილა გაყიდული საბჭოთა მთავრობის მიერ ან მისი თანხმობით. დეკლარაციაში აღნიშნულია, რომ საბჭოთა მთავრობა ჩასთვლის ამ გემებს, როგორც საბჭოთა კავშირის ხალხთა საკუთრებას, ვის ხელშიაც არ უნდა იმყოფებოდეს დღეს ეს გემები.

## სესხის საკითხის გარშემო

### სნოუდენი უარჰყოფს ხმებს კაბინეტში უთანხმოების არსებობის შესახებ.

**ლონდონი,** 21 აგვისტო. „მორნინგ პოსტ“ სწერს, რომ ძნელი გასაგებია, თუ როგორ დარჩება მაკდონალდი პრემიერის თანამდებობაზე, როდესაც მისი მთავარი ამხანაგი კაბინეტში სნოუდენი გამოთქმის ასეთ გაუგონარ თავისუფლებას აძლევს თავის თავს.

„დეილი ექსპრეს“ ბეჭდავს მეორე საუბარს სნოუდენთან, რომელიც აცხადებს.

„სასაცილოა, თუნდაც ერთი წუთით, იმის წარმოდგენა, რომ ჩემსა და პრემიერს, ან კაბინეტში რომელიმე ჩემს ამხანაგს შორის არსებობდეს უთანხმოება“.

„მანჩესტერ გარდიენ“ ადასტურებს ხმებს კაბინეტში მომხდარ უთანხმოების შესახებ, მაგრამ სთვლის მათ დაუმტკიცებლად.

„ვესტმინსტერ გაზეტტ“ თავისას არ იშლის და ხაზგასმით აღნიშნავს, რომ სნოუდენი მართლაც უარყოფითად უცქერის საბჭოთა კავშირისათვის უზრუნველყოფილი სესხის პროექტს.

## კონსერვატორები ჯავრობენ

### იმედი აქვთ, რომ პარლამენტი არ დაამტკიცებს ხელშეკრულებას.

**ლონდონი.** 21 აგვისტო. „ფაინანშიელ ტაიმს“ მოწინავე წერილში სწერს:

„როდესაც შეიკრიბება პარლამენტი, ხელშეკრულების მოწინააღმდეგეები იმდენად განამტკიცებენ თავიანთ პოზიციებს, რომ შანსები რატიფიკაციისათვის ძალიან ნაკლები იქნება. წარმოუდგენელია, რომ პარლამენტმა დაამტკიცოს შეთანხმება, რომელიც ვალდებულს ხდის ინგლისის მთავრობას უზრუნველჰყოს სესხი იმ სახელმწიფოსათვის, რომელმაც გააუქმა პირველად თავისი ვალები და ეხლაც დიდათ არ სურს იცნოს თავის ვალდებულებათა გამოურკვეველი ამოცანები. ვინაიდან ამ ვალდებულების შესრულება შეუძლიათ მხოლოდ ბანკებს და საფინანსო დაწესებულებებს, აქედან ცხადია, რომ სესხის მიცემის საქმე დიდი ხნის განმავლობაშიაც ვერ იქნება მოგვარებული. ჩვენ ძნელათ დავიჯერებთ, რომ ასეთ შემთხვევაში ბრიტანეთის მთავრობა სახელმწიფო ხაზინიდან დააკმაყოფილებს საბჭოთა კავშირის მოთხოვნილებებს. თუ ეს ასე იქნება, მაშინ მთავრობის დღეები დათვლილია“.

### კონსერვატორების შხამი.

**ლონდონი.** 21 აგვისტო. „დეილი მეილ“ განაგრძობს გალაშქრებას „ბოლშევიკებთან სამარცხვინო ხელშეკრულების“ წინააღმდეგ და აცხადებს, რომ მუშათა მთავრობამ, რომელმაც მოახდინა უმწეო კაპიტულიაცია საბჭოების წინაშე, შეურაცხყო პარლამენტი; ის წავიდა თავისი ხაზინის კანცლერის და ოფიციალური ფინანსიური მრჩეველის სურვილის წინააღმდეგ, რადგანაც დაშინებული იქნა „ექსტრემისტული მუქარით“.

## უკმაყოფილო არიან

**ლონდონი.** 21 აგვისტო. ლონდონის სავაჭრო პალატის საბჭო ერთსულოვან რეზოლიუციაში კატეგორიულად ილაშქრებს ინგლის-საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ, კერძოთ კი იმ მუხლის წინააღმდეგ, რომლის მიხედვით ინგლისის მთავრობა კისრულობს პასუხისმგებლობას საბჭოთა კავშირისათვის მისაცემი სესხისათვის. რეზოლიუციაში ნათქვამია, რომ შეთანხმება საბჭოთა კავშირთან, რომელიც არ ითვალისწინებს სავაჭრო ვალების ლიკვიდაციას, ვერ დააკმაყოფილებს ინგლისს; რეზოლიუცია აღნიშნავს, რომ ურთიერთ პრეტენზიები მთავრობებს შორის გამორკვეული უნდა იქნეს ორი ქვეყნის მოქალაქეების ურთიერთ პრეტენზიებისაგან.

## საბჭოთა კავშირის გამარჯვება

### ოსმალეთის პრესის აზრი.

**ანგორა.** 21 აგვისტო. ოფიციოზი „ხაკიმიეტ მილიე“ ინგლის-საბჭოთა კავშირის შეთანხმების შესახებ სწერს: „მიუხედავად წინააღმდეგობისა შეთანხმება დამტკიცებული იქნება ლიბერალების და კონსერვატორების დაინტერესებულ ნაწილის მიერ. მაკდონალდი უკიდურეს შემთხვევაში გაუშვებს პარლამენტს, ხოლო ხელახალი არჩევნების დროს უმრავლესობას მაინც მუშათა პარტია მიიღებს. ინგლისის მიერ საბჭოთა წესწყობილების საბოლოო ცნობა შეიცავს ბევრს მატერიალურ და მორალურ სარგებლობას ბოლშევიკებისათვის, ვინაიდან მათ აიძულეს კონსერვატიული ინგლისი დათმობაზე წასულიყო. [illegible] თავიანთ საგარეო და შინაური პრესტიჟი და გამოვიდნენ განცალკევებულ მდგომარეობიდან საერთაშორისო გზაზე“.

## ჩვენი დელეგაცია ლონდონში

### ამხ. რაკოვსკის და შეიმანის გადაფრენა ლონდონში.

**მოსკოვი.** 23 აგვისტო. 22 აგვისტოს სასწრაფო თვითმფრინავ „დერულიუფტ“-ით გადაფრინდენ ლონდონში საბჭოთა დელეგაციის თავმჯდომარე ამხ. რაკოვსკი და დელეგაციის წევრი—შეიმანი.

## პასუხი ერრიოს

**პარიზი,** 21 აგვისტო. ერრიოს დეკლარაციის შემდეგ კომუნისტმა მარტიმ შეიტანა წინადადება, რომლითაც მოითხოვდა კამათის გადადებას იმ დრომდე, როდესაც სენატი დაიწყებს კანონპროექტის განხილვას ამნისტიის შესახებ.

მარტი სასტიკად ილაშქრებდა მთავრობის და პარლამენტის წინააღმდეგ. თავმჯდომარე მას წესრიგისაკენ მოუწოდებდა.

მარტის სიტყვის დროს სოციალისტებსა და კომუნისტებს შორის ისმოდა სასტიკი რეპლიკები. მარტის წინადადება უარყოფილ იქნა ყველა ხმების უმრავლესობით კომუნისტების წინააღმდეგ.

## რეიხსტაგს დაითხოვენ

**ბერლინი.** 21 აგვისტო. უპასუხა რა ნაციონალისტების შეკითხვას, რეიხსკანცლერმა მარქსმა განაცხადა, რომ მოკავშირეებს მიეცემათ მოქმედების თავისუფლება, თუ კანონ-პროექტები არ იქნება მიღებული იმ ვადამდე, რომელიც დანიშნულია ოქმზე ხელისმოსაწერად. ე. ი. 30 აგვისტომდე:

„გერმანიის მთავრობა—განაცხადა მარქსმა—ფიქრობს, რომ მან მიიღო თავის თავზე მორალური ვალდებულებები და იმ შემთხვევაში, თუ მას მხარს არ დაუჭერს რეიხსტაგი, უკანასკნელი გაშვებული იქნება“.

მარქსის შემდეგ გამოვიდა გარეშე საქმეთა მინისტრი შტრეზემანი, რომელმაც აღნიშნა, რომ შემდეგი მოლაპარაკება ანტანტასთან შეუძლებელი იქნება, თუ ეხლანდელი რეიხსტაგი უარჰყოფს წარდგენილ კანონპროექტებს, ვინაიდან ახალი რეიხსტაგი კიდევ არ არსებობს. ახალ რეიხსტაგს ექნება კიდევ უფრო არახელსაყრელი ნიადაგი მოლაპარაკებისათვის და უკანასკნელის განახლება შეუძლებელი იქნება უახლოეს 15 ოქტომბრისა. შტრეზემანი ყურადღებას აქცევს გაძლიერებულ მოძრაობას ინგლისის მრეწველებს შორის გერმანიის კონკურენციის წინააღმდეგ. აგრეთვე გამოურკვეველია, დარჩება თუ არა ერრიო პრემიერის თანამდებობაზე ახალი რეიხსტაგის მოწვევის დროს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# უკანასკნელი ცნობები

## 20 სხდომით

ბერლინი. 23 აგვისტო. რეიხსტაგის გუშინდელი სალამოს სხდომა არ შესდგა იმის გამო, რომ კომუნისტურმა ფრაქციამ განაგრძო ობსტრუქცია. კომფრაქციის ლიდერი შვარცი დათხოვნილია 20 სხდომიდან.

### ზღაპრები

ბერლინი. 23 აგვ. როგორც იქნა, დღეს კანცლერმა შესძლო რეიხსტაგის სხდომაზე გამოსვლა მოხსენებით ლონდონის კონფერენციის შესახებ. აღნიშნა რა მაკდონალდის მოუდგომლობა კონფერენციის სხდომების ჩატარებაში, მარქსმა უარყო ცნობა იმის შესახებ-თითქო გერმანიის დელეგაციას წაუყენებული ჰქონდა ულტიმატუმი და თითქოს მას უკარნახებდნენ შეთანხმებას. კანცლერმა სიტყვა დაამთავრა ლონდონის შეთანხმების მიღების მოთხოვნით.

### მრეწველებს რა ენაღვლებათ

ბერლინი. 23 აგვ. სრულიად გერმანიის ვაჭართა კავშირმა გამოიტანა რეზოლიუცია ლონდონის ხელშეკრულების მიღების შესახებ. რეზოლიუციას ხმა მისცა 100 კაცმა, წინააღმდეგ—8.

### დაპყრობილ ადგილებიდან

ბერლინი. 23 აგვისტო. ყოველ საათში რეიხსტაგის ყველა პარტიები ასობით ღებულობენ დეპეშებს დაპყრობილ ადგილებიდან ლონდონის ხელშეკრულების მიღების მოთხოვნით.

### ვაი დამარცხებულთ

ბერლინი. 23 აგვისტო. ერრიომ გუშინ განაცხადა დეპუტატთა პალატაში, რომ ამიერიდან საფრანგეთი მიბაძავს ინგლისს და გერმანიიდან შემოზიდულ საქონელზე დააწესებს 26 პროცენტ. გადასახადს.

### დეპუტატთა პალატაში

პარიზი. 23 აგვისტო. დღეს მთელი დღის განმავლობაში დეპუტატთა პალატაში გრძელდებოდა კამათი ერრიოს მოხსენების გარშემო. სიტყვები წარმოსთქვეს კაშენმა, ბლიუმმა, ფაბრიმ და ბრიანმა. მათ საპასუხოთ ერრიომ განაცხადა: „ჩვენ არაფერზე უარი არ გვითქვამს. ვერსალის ხელშეკრულება ოდნავათაც არ შეცვლილა. მიუხედავათ ამისა საჭიროა მუშაობა „გონების განიარაღებლად“. ჩვენ კანტროლს ვუშვებით ძველ გერმანიას, რათა საშუალება მივსცეთ დაიბადოს ახალი გერმანია.

# იმპერიალიზმის წინააღმდეგ

## იმპერიალიზმთან ბრძოლის ჩინეთის საზოგადოების წერილი ამხ. ტროცკის მიმართ

პეკინი. 21 ავგისტო. იმპერიალიზმთან ბრძოლის ჩინეთის საზოგადოებამ კარახანის საშუალებით გამოუგზავნა ამხ. ტროცკის შემდეგი წერილი: „ინგლისის ელჩმა ჩინეთში უკანონოდ დააპატიმრა ჯარისკაცი ლი-იუ-ანი. პეკინის ყველა საზოგადოებრივმა ორგანიზაციებმა გამართეს შეერთებული მიტინგი, რათა გამოერკვიათ დამოკიდებულება ინგლისისადმი და გაუგზავნეს ინგლისის მთავრობას დეპეშა, რომელშიაც სთხოვდნენ მას გაეწვია უკან ინგლისის ელჩი ჩინეთში და გაეუქმებია ყველა ის უკანონო ხელშეკრულებანი, რომლებიც თავზე მოახვია ინგლისმა ჩინეთს. მაგრამ მაკდონალდმა—იმ მთავრობის პრემიერმა, რომელიც თავის თავს მუშათა პარტიის მთავრობას უწოდებს, არაჩითარი ყურადღება არ მიაქცია ამ სამართლიან მოთხოვნილებას. ჩვენ აღშფოთების გრძნობით ვიგონებთ ამას. თქვენ თავის სიტყვაში ხშირად გამოსთქვამდით თანაგრძნობას ლი-იუ-ანი-სადმი. ჩვენ დიდი მადლობელი ვართ თქვენი ყურადღებისათვის.

90 წელი გავიდა მას შემდეგ, რაც ჩინეთი აქციეს ნახევრად ახალშენად, ჩვენ ყველა მომხდარ გამოსვლებს ვსთვლით პროტესტის კერძო შემთხვევებათ, რომელთაც არ შეუძლიათ იმპერიალიზმის დამხობა და მისი საშინელების თავიდან აცილება.

გავაერთიანეთ რა ყველა პირები და ორგანიზაციები, რომლებიც თანაუგრძნობენ ჩვენს საქმეს პეკინში და პროვინციებში, ჩვენ შევადგინეთ იმპერიალიზმის წინააღმდეგ ბრძოლის საზოგადოება, რომელიც დაარსებულია მუდმივ საერთაშორისო ბრძოლისათვის იმპერიალიზმის წინააღმდეგ. 13 ივლისს პეკინში მოხდა საზოგადოების გახსნა. ჩვენ გამოვაქვეყნეთ პროკლამაცია, რომელიც განმარტავს ჩვენს მიზნებს და წინადადებას და მოვაწყვეთ მუშაობა ამ მიმართულებით. ჩვენი საზოგადოება მიზნად ისახავს იმპერიალიზმის თავდასხმითი პოლიტიკის მოსპობას და ყველა იმ უსამართლო ხელშეკრულებების გაუქმებას, რომლებიც მიზნად ისახავენ სუსტი ერების ჩაგვრას. ყველა პირები, გაზეთები და ორგანიზაციები, რომლებიც ბრძოლას აწარმოებენ იმპერიალიზმის წინააღმდეგ სახელმწიფო ან საერთაშორისო მასშტაბით, რომელთაც სურთ ჩვენს საზოგადოებასთან შემოერთება, ჩაითვლებიან, როგორც საზოგადოების თანამშრომლები. იმპერიალიზმთან ბრძოლის საზოგადოება შეეცდება მოსპოს იმპერიალიზმის ყველა დამკაშები. ასეთია მიზნები და მოვალეობანი იმ საზოგადოების, რომელიც ცდილობს გააერთიანოს ყველა ჩაგრული ერები და ჩაგრული მუშათა კლასი იმპერიალიზმის საწინააღმდეგო ბრძოლაში საერთაშორისო მასშტაბით. საზოგადოება ცდილობს აგრეთვე შექმნას ფართო საერთაშორისო მოძრაობა საერთაშორისო იმპერიალიზმის საძირკვლის დასანგრევად, ვინაიდან ჩვენ გვინდა, რომ კაცობრიობამ მოიპოვოს თავისუფლება და უფლებები თავისი არსებობისათვის.

**საბჭოთა კავშირმა პირველმა დაიწყო ბრძოლა იმპერიალიზმის წინააღმდეგ, ის მეგობარია ყველა ჩაგრულ ერების.** გიძღვნით რა გულწრფელ მადლობას ლი-იუ-ანი-სათვის თანაგრძნობის გამოცხადების გამო, ჩვენ იმედი გვაქვს მივიღებთ თქვენგან რჩევებს და დარიგებებს, თუ როგორ ვებრძოლოთ იმპერიალისტების შემოტევას და როგორ გადავახალისოთ მთელი მსოფლიო.“

# სექტანტების დეკლარაცია

მოსკოვი, 23 ავგისტო. სრულიად ადვენტისტების კავშირის მეხუთე ყრილობამ მიიღო დეკლარაცია, რომელიც მიმართულია საბჭოთა კავშირის ცაკისადმი. დეკლარაციაში ნათქვამია: საბჭოთა ძალაუფლების დამყარების დღიდან ადვენტისტებმა მიიღეს საბჭოთა ხელისუფლების ლოზუნგები. ადვენტისტები საჭიროთ სთვლიან მოიხადონ ყოველგვარი სახელმწიფოებრივი ბეგარა, სამოქალაქო და სამხედრო სამსახურით და მადლობას უცხადებენ საბჭოთა კავშირის მთავრობას და ყველა მშრომელებს მოპოვებულ თავისუფლებისათვის და რუსეთის კომპარტიის მე-8 ყრილობის დადგენილებისათვის, რომელიც იწვევს სექტანტებს საერთო სახელმწიფოებრივ აღმშენებლობაში მონაწილეობის მისაღებად.

# სხვა და სხვა ამბები

— **სიძვირე ავსტრიაში.** ვენაში პურის ფასები კიდევ მატულობს. უკანასკნელი თვის განმავლობაში პურის ფასმა იმატა 25 პროცენტით.

— **მფრინავებით.** რეიტერის სააგენტო იტყობინება, რომ ამერიკული მფრინავი სმიტი, რომელიც გადაფრენას ახდენს მსოფლიოს გარშემო, უკვე ჩავიდა გრენლანდიაში.

— **პოლიციის „ზეჯითობა“.** მიუნხენის (გერმანია) პოლიციამ აკრძალა კომპარტიის მიერ ლონდონის ხელშეკრულების საწინააღმდეგოთ გამართული დემონსტრაცია. ტიურინგიის კომპარტიის ორგანო „ფოლკსვილლე“ დახურულია 2 კვირით.

— **რუმინიაში.** გრძელდება ეროვნულ უმცირესობათა უკმაყოფილება. მდგომარეობა იმდენად გამწვავდა, რომ მთავრობა იძულებული ხდება მოახდინოს ადმინისტრაციის რეორგანიზაცია განაპირა რაიონებში.

— **ევროპის „ხაზეინი“.** ჩეხო-სლოვაკიის გაზეთები აღნიშნავენ, რომ ლონდონის კონფერენციის შემდეგ ევროპის ბატონ-პატრონი ამერიკა გახდა. საფრანგეთმა დასთმო მხოლოდ ამერიკის ზეგავლენით; ამიტომ საჭიროა შეიცვალოს ჩეხო-სლოვაკიის პოლიტიკაც.

— **ახალი კანონპროექტი.** გერმანიის საიმპერიო მთავრობას რეიხსტაგში დასამტკიცებლად შეაქვს ახალი კანონპროექტი საბაჟოების შესახებ.

— **საფრანგეთის ვალები.** ამერიკის გაზეთების ცნობით, [illegible] კულიჯი აპირებს წინადადება მისცეს საფრანგეთს გადაუხადოს ამერიკას სესხი საკონტრიბუციო საკითხის მოგვარებისთანავე.

— **საჰაერო მიმოსვლა.** უკვე ხელმოწერილია შეთანხმება საჰაერო მიმოსვლის შესახებ ინგლისს და პოლონეთს შორის.

— **მოლაპარაკება გერმანია-ბელგიას შორის.** 15 ენკენისთვეს ბერლინში დაიწყება მოლაპარაკება გერმანია-ბელგიას შორის სავაჭრო ხელშეკრულების დადების შესახებ.

— **ფაშისტების „მუშაობა“.** იტალიაში ხშირია შეტაკებები ფაშისტებს და მშვიდობიან მცხოვრებთა შორის. ამ ბოლო დროს ამ მხრივ „მამაცი“ გამოდგა ერთი ჯგუფი, რომელმაც ტყვილა უბრალოდ ნეაპოლში სროლა აუტეხა მშვიდობიან მოქალაქეთ.

— **მატეოტის დამარხვის გარშემო.** იტალიის გაზეთების ცნობით, მეტეოტის დამარხვაში მონაწილეობას ღებულობდა 10 ათასი კაცი.

— **სესხს დებენ.** ამჟამად საფრანგეთი მოლაპარაკებას აწარმოებს ამერიკასთან ახალი სესხის მიღების შესახებ. სესხად თხოულობს 150 მილიონ დოლლარს.

— **კომუნისტების ობსტრუქცია.** რეიხსტაგის უკანასკნელი სხდომა სამჯერ იქნა შეწყვეტილი, რადგან კომუნისტებმა ობსტრუქცია მოაწყვეს. სხდომა შემდეგი დღისათვის იქნა გადადებული.

# წითელ რესპუბლიკებში

## რუსეთი

### კოოპერატიულ გაერთიანების შესახებ.

მოსკოვი. 23 ავგისტო. საბჭოთა კავშირის ცაკის პრეზიდიუმმა დაამტკიცა საბჭოთა კავშირის ცაკის და სახალხო კომისართა საბჭოს დადგენილების პროექტი სასოფლო-სამეურნეო კოოპერაციის შესახებ. დადგენილების თანახმად, უფლება ეძლევათ საბჭოთა კავშირის ყველა მოქალაქეებს, რომელიც ეწევიან მიწის მუშაობას და მასთან დაკავშირებულ ხელობას და სარგებლობენ საარჩევნო ხმის უფლებით, დაარსონ კოოპერატიული გაერთიანებები, ამხანაგობანი, არტელები და კომუნები.

### ემიგრანტთ ბოლშევიკური „სენის“

ოდესა. 23 ავგ. გუშინ დაბრუნდა იაფიდან შავი და აზოვის ზღვების სანაოსნო სამმართველოს გემი „კერჩ“, რომელმაც მოიყვანა იაფაში 200 ემიგრანტი. ემიგრანტები დიდის გაჭირვებით იქნენ გადაყვანილნი ნაპირზე, სანამ მრავალჯერ არ გაიარეს ინგლისის ხელისუფლების ფილტრაცია. გემ „კერჩ“-ის ნავთსადგურში დგომის დროს, ნაპირზე თავმოყრილი იყვნენ პოლიციის და „სიშჩიკების“ მნიშვნელოვანი ნაწილები.

# პარტიული ცხოვრება

## რუსეთის კომპარტიის ცეკა საბჭოების ხელახალი არჩევნების შესახებ

მოსკოვი. 23 ავგისტო. გამოქვეყნებულია რუსეთის კომპარტიის ცეკას მიმართვა პარტიის ყველა წევრთა და ორგანიზაციებისადმი. მიმართვაში ნათქვამია: „საბჭოების ხელახალმა არჩევნებმა ქალაქებში კიდევ უფრო უნდა გააძლიერონ პარტიის და საბჭოთა ხელისუფლების ორგანოების კავშირი მუშათა მასებთან. საჭიროა ახლად არჩეულ საბჭოების შემადგენლობაში შეყვანილ იქნან დაზგასთან მდგომი უპარტიო მუშები. განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს საბჭოების შემადგენლობაში მუშა-ქალების შეყვანას. საარჩევნო კომისიების შემადგენლობაში აუცილებლად შეყვანილი უნდა იქნან მუშა-ქალების წარმომადგენლები და მიზიდულ იქნან დაზგასთან მდგომი მუშები—კერძოთ, პარტიაში ახლად მიღებული წევრები. საარჩევნო აგიტაციის დროს საჭიროა ფართოდ იქნას განმარტებული საბჭოთა ხელისუფლების და პარტიის პოლიტიკა, ერთი წლის განმავლობაში მიღწეული გამარჯვება და ის დაბრკოლებები, რომელიც წინ ელობება საბჭოთა ხელისუფლებას. საჭიროა ზედმიწევნით ადევნოთ თვალყური საარჩევნო სიების შედგენას, რათა ქალაქის ბურჟუაზიის, ბურჟუაზიულ ინტელიგენციის და სოფლის კულაკების წარმომადგენლები არ შეიპარონ საბჭოებში. საბჭოების ხელახალი არჩევნების დროს სოფლად, მომავალმა კამპანიამ უნდა შეამოწმოს საბჭოთა ორგანოების მუშაობა და უნდა გააჯანსაღოს და განამტკიცოს ეს მუშაობა. უნდა მივაღწიოთ იმას, რათა სათემო აღმასკომებში სახელმძღვანელო ადგილებზე იდგენ ისეთი კომუნისტები, რომლებიც აკმაყოფილებენ საქმიან მოთხოვნილებებს. უპარტიო გლეხთა ჩაბმა საბჭოების მუშაობაში უნდა მოხდეს აგრეთვე საქმიანი შერჩევის შემდეგ. სოფლის საბჭოების შემადგენლობაში უნდა შევიდეს პირველ ყოვლისა ღარიბი გლეხები, სამსახურიდან განთავისუფლებული წითელი არმიელები, ბატრაკები და სოფლის ინტელიგენცია, განსაკუთრებით ლოიალურად განწყობილი მასწავლებლობა“.

### პიონერთა მოძრაობა

მოსკოვი, 23 ავგისტო. რუსეთის კომპარტიის ცეკას საორგანიზაციო ბიუროს სხდომაზე წაკითხულ იქნა მოხსენება პიონერთა მოძრაობის შესახებ. მოხსენებიდან გამოირკვა, რომ 161,000 პიონერს შორის, რომლებიც შეკავშირებული არიან საბავშვო ჯგუფებში, სოციალური შემადგენლობის მიხედვით პროცენტების შეფარდება ასეთია: მუშები შეადგენენ 63 პროცენტს, გლეხების შვილები 20 პროცენტი და მოსამსახურეების 15 პრ.

3 პროცენტს შეადგენენ დანარჩენები. რაზმების 30 პროცენტი იმყოფება ფაბრიკებთან, ქარხნებთან, საფაბრიკო საქარხნო სკოლებთან, 30 პროცენტი საბავშვო სახლებთან, 20 პროცენტი რუსეთის ახალგაზრდა ლენინელთა კომკავშირის კლუბებთან, 20 პროცენტიც უმთავრესად სოფლებში. მოძრაობაში ამჟამად უმეტესად ჩაბმული არიან მუშათა ბავშვები და ისინი, რომლებიც იმყოფებიან საბავშვო სახლებში. მოძრაობაში ჩაბმული არიან ნაწილობრივ შეუკავშირებელი ბავშვებიც. ფიზიკურ აღზრდას აფერხებს მომზადებულ მუშაკთა სიმცირე. პიონერთა მოძრაობას აქვს ის ნაკლი, რომ ის არ არის დაკავშირებული სკოლასთან და ეს ხშირად აფერხებს სასკოლო მუშაობას. ახალგაზრდობის კომკავშირის პიონერთა მოძრაობის ასეთი ტემპის დროს არ ძალუძს თავი გაართვას პარტიის დახმარების და ხელმძღვანელობის გარეშე. საჭიროა, რომ უჯრედების ბიუროებმა თვალყური ადევნონ პიონერთა რაზმებს.

პიონერთა წლოვანობის საკითხის შესახებ საორგანიზაციო ბიურომ მიზანშეწონილად სცნო დაშვებულ იქნენ პიონერები რაზმებში 16 წლის ასაკამდე.

მოძრაობის სწრაფად განვითარების გამო, საორგანიზაციო ბიურომ სცნო აუცილებლად პარტიის ორგანიზაციული ხელმძღვანელობა და დახმარება ახალგაზრდობის კომკავშირისათვის პარტიის, პროფკავშირების და სახელმწიფო ორგანოების მხრივ პიონერთა ორგანიზაციების გასაფართოებლად ქალაქში და სოფელში. ერთიანი ხელმძღვანელობამ პარტიის მხრივ უნდა უზრუნველჰყოს ბავშვთა კომუნისტური მოძრაობის მთავარი ამოცანის შესრულება, რაც მდგომარეობს იმაში, რომ ის იქნეს კომუნისტური აღზრდის სკოლა. პრაქტიკულად ხელმძღვანელობა უნდა განხორციელდეს რუსეთის ახალგაზრდა ლენინელთა კომკავშირის საშუალებით.

ბავშვთა კომუნისტურ მოძრაობის მოწყობაში პროფკავშირების მონაწილეობის საკითხის გამო, წინადადება მიეცა სრულიად—რუსეთის პროფკავშირთა ცენტრალურ საბჭოს შეიტანოს კულტურული მუშაობის გეგმაში დახმარება პიონერთა ორგანიზაციებისადმი.

### რუსეთის კომპარტიის ცეკა აკადემიური შემოწმების შედეგების შესახებ

მოსკოვი. 23 ავგისტო. რუსეთის კომპარტიის ცეკამ, გაეცნო რა აკადემიური შემოწმების შედეგებს უმაღლეს სკოლაში, საჭიროდ სცნო მიაქციოს პარტორგანიზაციების ყურადღება იმაზე, რომ უმაღლეს სასწავლებლებში იგზავნებოდენ უფრო გამოსადეგი კლასობრივად და საერთო განათლების თვალსაზრისით უფრო მომზადებული სტუდენტები. ცეკა აუცილებლად სთვლის ზომების მიღებას იმისათვის, რომ პედაგოგიური უმაღლესი სასწავლებლები შევსებულ იქნენ მუშფაკელებით, რადგანაც საგრძნობია კომუნისტ-მასწავლებლების სიმცირე.

ცეკა ამავე დროს აუცილებლად სთვლის გატარებულ იქნეს ცხოვრებაში სახალხო კომისართა საბჭოს დადგენილებები სამეცნიერო მუშაკთა ხელფასის გაუმჯობესების შესახებ. ცეკა აუცილებლად სთვლის, რომ სასწავლო გეგმები გადასინჯული იქნენ უმაღლეს სკოლაში სწავლების ანგრძლივობის თვალსაზრისით; გადასინჯული იქნეს აგრეთვე საკითხი უმაღლეს სასწავლებლების წარმოებასთან დაკავშირების შესახებ, კერძოდ კი სტუდენტების პრაქტიკული მუშაობის საკითხიც. იმის გამო, რომ სტუდენტები, განსაკუთრებით კომუნისტები—დატვირთული არიან საზოგადოებრივი მუშაობით, ცეკა აუცილებლად სთვლის განტვირთული იქნენ კომუნისტი სტუდენტები და კომკავშირელები საზოგადოებრივ სამუშაოს ნაწილისაგან, რომ ამან ხელი არ შეუშალოს აკადემიურ მუშაობას, აგრეთვე ყურადღება ექცევა იმას, რომ აუცილებლად იქნენ ჩაბმული საზოგადოებრივ მუშაობაში სტუდენტთა ორგანიზაციები და უპარტიო სტუდენტთა მასები.

### რუსეთის ახალგაზრდა ლენინელთა კომკავშირის წევრთა პოლიტიკური შემოწმება

მოსკოვი, 23 ავგისტო. რუსეთის ახალგაზრდა ლენინელთა კომკავშირის ცეკამ, ახალგაზრდა ლენინელთა კომკავშირის მე-6-ე ყრილობის გადაწყვეტილების თანახმად, დაადგინა ჩატარებულ იქნეს ყოველგან 10-დან 15 სექტემბრამდე რუსეთის ახალგაზრდა ლენინელთა კომკავშირის ყველა წევრების პოლიტიკური შემოწმება.

### ახალგაზრდა ლენინელთა მუშაობა ონტოფოს თემში

(სენაკის მაზრა)

ონტოფოს თემში 1921 წლიდან არსებობს კომკავშირის ორგანიზაცია.

ონტოფოს ორგანიზაციაში პირველად ირიცხებოდა 20 ამხანაგი, მაგრამ შემდეგ ზოგიერთი ამხანაგები გადაიდენ სხვადასხვა ქალაქებში სწავლის გასაგრძელებლად და ზოგი სამუშაოდ.

ამ ჟამად უჯრედში ირიცხება 15 წევრი. მათ შორის ორი ქალია.

პოლიტ-წრის მეცადინეობა სწარმოებს კვირაში ერთხელ. დამთავრებულია და შესწავლილია კოვალენკოს „პოლიტიკური ანბანი“.

ამ ჟამად მეცადინეობა სწარმოებს „პოლიტიკურ საუბართა კრებულის“-დან, რომელიც გამოცემული და მიძღვნილია ცენტრალურ კომიტეტის მიერ [illegible] სოფლის უჯრედებისათვის.

თემკომის კრება ხდება თვეში ორჯერ.

კვირას, 10 ავგისტოს შესდგა ონტოფოს თემის ლენინელთა კომკავშირის გაერთიანებული კრება. დღის წესრიგში იდგა შემდეგი საკითხები:

1) საერთაშორისო მდგომარეობა და 2) მიმდინარე კითხვები.

პირველ საკითხზე მოხსენება გააკეთა ამხ. გრ. ნადარეიშვილმა, რომელიც შეეხო ინგლის - საბჭოთა კავშირის კონფერენციას, დაახასიათა კონფერენციის მსვლელობა და აღნიშნა შეთანხმების მიღწევა.

მოხსენების შემდეგ იყო მრავალი შეკითხვები, რაზედაც პასუხი გასცა მომხსენებელმა.

მიმდინარე საკითხებში გაირჩა რამდენიმე საშინაო-ორგანიზაციო კითხვა.

ბარ—ნარი.

# ეკონომიური ცხოვრება

## ხორცის ბაზრის გამოკვლევა

ამიერ-კავკასიის შინა ვაჭრობის სახალხო კომისარიატი აწარმოებს ამ ჟამად ამიერ-კავკასიის ხორცის ბაზრის გამოკვლევას.

ცნობები იკრიბება ბაზრის მდგომარეობის შესახებ მშვიდობიან დროის ორი უკანასკნელი წლის და ამ ორი უკანასკნელ წლის განმავლობაში.

საინტერესოა ხორცის ბაზარზე კოოპერატიული და კერძო ვაჭრობის შორის არსებული დღევანდელი შეფარდება. საწარმოო გამოკვლევის ცნობების თანახმად მიმდინარე წლის ივნისში კერძო ვაჭრების მიერ თბილისის ბაზარზე გაყიდულა მთელი მოსახმარებელი ხორცის 85 პროცენტი, ხოლო კოოპერატიულ დაწესებულებათა მიერ მოსახმარებელი ხორცის საერთო რაოდენობის 15 პროცენტი. 7 კერძო და კოოპერატიულ ვაჭრობათა შორის შეფარდება აბსოლიუტურ ციფრებით შემდეგია: კერძო ვაჭრების მიერ თბილისის ბაზარზე გაყიდულია სულ 23.815 ფუთი, ხოლო კოოპერატიულ დაწესებულებათაგან—4.200 ფუთი ხორცი. კოოპერატიულ დაწესებულებათა შორის ყველაზე მეტად ინტენსიურ ვაჭრობას ხორცის ბაზარზე ანვითარებს კოოპ. „ნათელი ქართლი“, რომელსაც გაუყიდია 3.446 ფუთი ხორცი, ანუ თბილისის თვიურ მოსახმარებელი ხორცის საერთო რაოდენობის 12,3 პროცენტი. ამიერ-კავკასიის სატრანსპორტო მომხმარებელ საზოგადოებას გაუყიდია ერთი თვის განმავლობაში მხოლოდ 169 ფუთი. მუშათა ერთიან კოოპერატივს კი 684 ფუთი.

შეკრებილი ცნობები გვიჩვენებს რომ ივნისის მომავალ თვეებში სახელმწიფო ორგანოების მიერ მიღებული ღონისძიებით კოოპერატიული და სახელმწიფო ვაჭრობა ნელა და თანდათანობით იპყრობს პოზიციებს ხორცის ბაზარზედ.

## საფეიქრო ბაზრის გამოკვლევა

ა|კავკასიის შინა-ვაჭრობის სახალხო კომისარიატი აწარმოებს ამ ჟამად ა|კავკასიის საფეიქრო ბაზრის გამოკვლევას.

შედგენილი გეგმის მიხედვით სწარმოებს მანუფაქტურის მარაგის რაოდენობის გამორკვევა ხარისხის მიხედვით (თეთრეული საქონელი, ჩითეული, შალეული, აბრეშუმის საქონელი და სხვა).

გამორკვევა მანუფაქტურის ბრუნვის თვეების მიხედვით, საბითუმო და ცალობითი ფასებისა, გამორკვევა ბითუმათ და ცალობით გაყიდული საქონლის პარტიების რაოდენობის, გამორკვევა საფეიქრო სინდიკატისგან წამოღებული საქონლისა და სხვა. გამოკვლეული იქნება შემდეგი სახელმწიფო და კოოპერატიული დაწესებულებანი: საქართველოს სახელმწიფო ვაჭრობის მაღაზიები. მუშათა ერთიანი კოოპერატივები, ა|კ. სატრანსპორტო მომხმარებელი საზოგადოება, ცეკავშირი, წარმოკავშირი, კავკასიის წითელდროშოვანი არმიის კოოპერატივები, ერთიანი სამხედრო კოოპერატივი და სხვა კოოპერატიული დაწესებულებანი.

გარდა ამისა განზრახულია თავისუფალი ბაზრის გამოკვლევაც, რომლისათვისაც ცნობები შეიკრიბება სხვა და სხვა ბაზრებზე (სომხების ბაზარი, ხითაროვის პასაჟი, დეზერტირის ბაზარი და სხვა).

მაზრებში გადაწყვეტილია გამოირკვეს, რომელი ორგანიზაციები ვაჭრობენ მანუფაქტურით, რა რაოდენობით არის სოფლის ბაზარზე მანუფაქტურა და რა ფასები აქვთ მასზე დაწესებული კერძო სახელმწიფო და კოოპერატიულ ორგანიზაციებს.

საფეიქრო სინდიკატის გამოკვლევა მოხდება აგრეთვე კლიენტურის მიხედვით: რამდენია სახელმწიფო ორგანოების, კოოპერაციის და კერძო ვაჭრების კლიენტთა რიცხვი.

გამოკვლეულ უნდა იქნეს საფეიქრო სინდიკატის საქონლის ასორტიმენტიც და მარაგების განაწილება კატეგორიების მიხედვით.

# ამიერ-კავკასიის პურის ბიუჯეტი 1924—25 სამეურნეო წლისათვის

(ცენტ. სტატისტ. სამმართველოს ცნობებით)

პურით დათესილ ყანებისრაოდენობა ამიერ-კავკასიის რესპუბლიკების ცენტ. სტატისტიკური სამმართველოს ცნობით უდრის—1,486 ათასს დესეტინას. ცალკე რესპუბლიკების მიხედვით ეს ცნობები ნაწილდება შემდეგნაირად: საქართველოში დათესილია 616 ათასი დესეტინა, აზერბეიჯანში 650 ათასი დესეტინა სომხეთში 220 ათასი დესეტინა.

### მოსალოდნელი მოსავალი.

ადგილებიდან მოსული ცნობებით ივლისისათვის მოსავლის მდგომარეობა მთელს ამიერ-კავკასიაში უახლოვდებოდა საშუალო დონეს (ნიშანი 2,5).

15 ივლისისათვის მოსავლის მდგომარეობა უმჯობესდება საგრძნობლად დასავლეთ საქართველოში, აჭარასა და აფხაზეთში, სადაც ყველან მოსავალი თითქმის საშუალო დონეს აღწევს. უკანასკნელი ცნობების თანახმად მოსავლის შესახებ მთელს ამიერ-კავკასიაში მოსალოდნელია 1924 წლისათვის დაახლოებით 75,100 ათასი ფუთი პურეული. აქედან ხორბალი და ქერის მოსავალი შეადგენს დაახლოებით 48,300 ათასს ფუთს, ხოლო სიმინდის—27 მილიონ ფუთს.

### საჭირო პურის რაოდენობა

პურეულის საჭიროება ცალკე რესპუბლიკებისათვის ასეთია: საქართველოს სჭირდება მოსახლეობის გამოსაკვებად: 38,7 მილიონი ფუთი, ყანების სათესად—3,2 მილიონი ფუთი, სულ—41,9 მილიონი ფუთი. აზერბეიჯანს მოსახლეობის გამოსაკვებად სჭირია—25,4 მილიონი ფუთი, ყანების დასათესად—5.9 მილიონი ფუთი, სულ—31,3 მილიონი ფუთი. სომხეთს სჭირია მოსახლეობის გამოსაკვებად—12.3 მილიონი ფუთი, ყანების დასათესად—2,2 მილიონი ფუთი,—სულ 14,5 მილიონი ფუთი. ამიერ-კავკასიის რესპუბლიკების მოსახლეობის გამოსაკვებად და ყანების დასათესად ესაჭიროება 87,7 მილიონი ფუთი, ხოლო მოსალოდნელი მოსავალი კი უდრის—დაახლოებით, 75,1 მილიონს.

### პურის დეფიციტი ა|კავკასიისთვის

ამგვარად პურის დეფიციტი ა|კავკასიაში მომავალ წლისათვის უდრის—12,7 მილიონი ფუთს. აქედან საქართველოზე მოდის—3,4 მილიონი ფუთი, აზერბეიჯანზე—7,8 მილიონი ფუთი და სომხეთზე—1,5 მილიონი ფუთი. შემოსატანი პურის რაოდენობა ნაკლები უნდა იქნეს გამოანგარიშებულ 12,6 მილიონ ფუთზე, რადგან ადგილობრივი მოსახლეობის დანაკლისს წრეულს შეავსებს შარშანდელი წლების მარაგი.

რაც შეეხება სათესს მარცვლეულს, დანაკლისი ამ მხრივ არ შეიძლება შეივსოს გარედან შემოზიდული თესლით, რადგან სხვა რაიონების თესლეული ხშირად გამოუდეგარია ამიერ-კავკასიისათვის.

აქედან ცხადია, რომ დახმარება დასჭირდება მხოლოდ მსხვილ ქალაქებს, რომელთა დასაკმაყოფილებლად საკმაო იქნება 8 მილიონი ფუთი. ამ რიცხვიდან საქართველოსთვის უნდა ვიანგარიშოთ 2,5 მილიონი ფუთი, აზერბეიჯანისთვის—4,5 მილიონი, ხოლო სომხეთისათვის 1 მილიონი ფუთი. მაშასადამე, შემოსაზიდი პური საერთო ციფრი განისაზღვრება 9—9,5 მილიონი ფუთი.

# სოციალური დაზღვ. საქართველოში

### ბათომში.

ბათომის დამზღვევი კასის გამოსაკვლევად თბილისიდან ბათომში მივლინებული იქნა ამხ. კილაძე, რომელიც ბათომის დამზღვევ კასის მუშაობაში აღმოაჩინა მრავალი უწესრიგობა. ბუღალტერიის დარგში აღმოჩენილ იქნა ბოროტ მოქმედებაც. შეკრებილი მასალა და ცნობები გაეგზავნა პროკურატურას.

საქართველოს მთავარი სოციალური დაზღვევის კოლეგიამ მიიღო ცნობად ამხ. კილაძის მოხსენება და დაადგინა, გაატაროს ის ღონისძიება, რომელიც წარმოდგენილ იქნა მომხსენებლის მიერ ბათომის დამზღვევ კასის მდგომარეობის გასაუმჯობესებლად.

უკანასკნელის შტატი კოლეგიამ 16 თანამშრომლით განსაზღვრა.

### ბორჯომში

სოციალური დაზღვევის მთავარ სამმართველოს კოლეგიამ წინადადება მისცა ბორჯომის დამზღვევ კასას მოაგვაროს საკითხი დაზღვეულ მუშამოსამსახურეთათვის ფულის თავის დროზე მიცემის შესახებ და ამავე დროს სავსებით დაიცვას მათი ინტერესები. გარდა ამისა, ამავე კასას წინადადება მიეცა მოახდინოს დაზღვეულთა სწორი კვალიფიკაცია დაწესებულებათა მიხედვით.

ვინაიდან ბორჯომის რაიონში ადგილობრივი ჯანმთელობის განყოფილება არ არსებობს, დამზღვევ კასას წინადადება მიეცა პირობათ შეეკრას საკურორტო სამმართველოს პროცენტულ წარმოების გაღების შესახებ დამზღვევი კასის საჭიროებისათვის.

### ჭიათურაში.

ჭიათურის დამზღვევი კასის გამოკვლევა დავალებული ჰქონდა ამხ. თუშიშვილს, რომელმაც დაბრუნებისას სოციალურ დაზღვევის მთავარ სამმართველოს კოლლეგიას გაუკეთა მოხსენება ჭიათურის დამზღვევი კასის მდგომარეობის შესახებ. მოხსენების თანახმად კოლლეგიამ დაამტკიცა ჭიათურის დამზღვევი კასის შტატი 9 კაცის რაოდენობით ჭიათურისათვის, ხოლო მაზრის მაშტაბით შტატი განსაზღვრა 14 კაცით იმ პირობით, რომ კასის ყოველ პუნქტზე დანიშნული იქნეს მხოლოდ ერთი თანამშრომელი.

ჭიათურის დამზღვევ კასას წინადადება მიეცა გადაათვალიეროს ინვალიდთა სია და გაატაროს ისინი ამისთვის დაწესებულ კომისიაში.

# კოოპერაცია

## „მწყემსი“ და „ბირლიკი“

თუ საქართველოს მშრომელ ხალხის ცხოვრებაში დიდი მნიშვნელობა აქვს მებრეშუმეობას, მეთამბაქოეობას და ხე-ტყის წარმოებას არა-ნაკლები მნიშვნელობა აქვს მესაქონლეობას და განსაკუთრებით კი მეცხვარეობას.

მეცხვარეობა ისტორიულათ თანასდევს ჩვენს ერის ეკომიურ განვითარებას, როგორც ერთი უდიდესი სასოფლო სამეურნეო დარგი და მისი დადებითი თუ უარყოფითი მხარეები ყოველთვის შესაფერის დაღს ასვამდა ჩვენს ეკონომიურ ცხოვრებას.

საერთაშორისო ომიანობის პროცესში, როგორც სხვა სამეურნეო ორგანიზაციებმა, მეცხვარეობამაც განიცადა მძიმე ჭრილობა. ამას ადასტურებს ის, რომ მეცხვარეობა ამიერ-კავკასიაში ძლიერ შემცირდა, თუ 1907 წელ. საქართველოში ითვლებოდა 1.920.000 ცხვარი, 1923 წელში აღმოჩნდა მხოლოდ 850.000 სული.

აქედან ნათლად სჩანს ის დანაკლისი, რომელიც განიცადა ჩვენმა მეცხვარეობამ საერთაშორისო იმპერიალისტური ომის და სამოქალაქო ომის დროს.

საბჭოთა ხელისუფლება, დღეს უდიდეს ყურადღებას აქცევს სასოფლო-სამეურნეო ორგანიზაციის განვითარებას. არც შეიძლება, რომ სხვანაირათ იყოს, ვინაიდან ჩვენი ქვეყანა უმთავრესათ სასოფლო-სამეურნეოა.

საქართველოში დღეს არსებობს ორი უდიდესი მეცხვარეთა ორგანიზაცია „მწყემსი“-ს და „ბირლიკის“ სახელწოდებით. „მწყემსი“-ში თითქმის თავს იყრის მთელი საქართველოს მეცხვარეობა გარდა ბორჩალოს მაზრისა, რომელსაც აქვს თავისი ორგანიზაცია „ბირლკის“ სახელწოდებით.

1920 წელში, როდესაც პირველად დაარსდა მეცხვარეთა კოოპერატიული კავშირი, მაშინ „მწყემსი“ ითვლებოდა ერთად ერთ მეცხ
ორგანიზაციათ. შ
დრომდე კავშირის შ
მეცხვარე-მემრეწველე ფედერ
რომელიც
ლოს მეცხვარეები ჩამო
„მწყემს“ და დაარსეს ამხ. „ბირ

ზედმეტია იმაზე ლაპარაკი,
ამ ორ ერთნაირ ორგანიზაციის
ბობა ცალ-ცალკე ყოვლად
ბელია, რომელიც ზედმეტ ხა
არაფერს იწვევს და რომე
ლებლათ ხელს უწყობს პ
გაძვირებას.

მეცხვარე თათარია, ქა
რუსი თუ ოსი საქართველოში
ერთია, მათ აუცილებლად
ნებს ერთი რამ, ეს არის მ
ბის გაუმჯობესება, მათი ინ
ბის დაცვა, კულტურული მ
და ცხვრის პროდუქტის გა
და თუ-კი დღემდის მათი ო
ზაცია ცალცალკე არსებობს
ქიკების და მემარჯვენე
ტებს შოვინიზმის წყალობით,
ეს უნდა გამოსწორდეს და „ბ
კის“ წევრები უნდა
თენ „მწყემს“, ვინაიდან
თველოს მეცხვარეთა
„მწყემს“-ის უკანასკნელ ყრ
ზედ სართველ.ს მ
აილო ცოცხი და კავშირ
რეკა ყველა ის ელემ
რომლთა წყალობით ჩამოშო
ჩალოს მაზრა „მწყემს“-ის
ციას.

მე სრულ იმედს გამოვსთქ
„წარმოკავშირი“, როგორც სა
სამეურნეო კოოპერატიული
მიაქცევს შესაფერის ყურ
და მიიღებს ზომებს, რათა
დეს ეს ორი ერთგვარი ორგან
ვინაიდან ამას მოითხოვს სა
ლოს მეცხვარეობის ინტერ

გრ. ლაბ

# პროფკავშირებში

## პროფსაბჭოს სამდივნოში

### პროფსაბჭოს ბიბლიოთეკა.

პროფსაბჭოს სამდივნომ დაადგინა დასტოვოს თავის ბიბლიოთეკაში ლიტერატურა პროფესიონალურ და მუშათა მოძრაობის შესახებ, დანარჩენი ლიტერატურა გადაეცემა ცენტრალურ მუშათა კლუბის ბიბლიოთეკას.

### დაზღვევის თათბირი.

პროფსაბჭოს სამდივნომ დაადგინა მოაწყოს დაზღვევის საქმის თათბირი პროფსაბჭოს, მედ-სან შრომის მუშაკთა, მელითონეთა, გემოკვების, განათლების მუშაკთა, საბჭოთა მოსამსახურეებზე მკერავთა, მეტყევეთა კავშირების, დამზღვევი კასის და შრომის დაცვის განყოფილების წარმომადგენლებისაგან. პროფსაბჭოს წარმომადგენლად თათბირში დანიშნულია ამხ. ელბაქიანი.

### სახელმწიფო კინო მრეწველობის გამოკვლევა.

პროფსაბჭოს სამდივნომ დაადგინა მიანდოს სახელმწიფო კინო-მრეწველობის გენერალური გამოკვლევა იმ მიზნით, რომ გამოარკვიოს საქმის სამეურნეო დაყენება, მუშაო
მა და სამუშაო ხელფასის
გამოსაკვლევად გამოყოფილია
სია საქ. მუშ. გლეხინის
გენლის თავმჯდომარეობით და
საბჭოს და ხელოვნების მუშათა
შირის წარმომადგენლის მ
ლობით.

### წარმოდგენები მუშებისათვის მავალ სეზონში.

პროფსაბჭოს კულტგანყოფ
წინადადება მიეცა გამო
სახელმწიფო თეატრებით სარგ
ბის გეგმა მომავალ სეზონის
გეგმით გათვალისწინებ
ნეს აგრეთვე მუშათა
რიოდული წარმოდგენებ
ვაც.

### მუშკოოპის ქსელის გაფა ვება.

პროფსაბჭომ საჭიროდ
მუშათა კოოპერაციის ქსელის
ფართოება ჩათახსა და ქ
რის შესახებაც დადგენილ
კითხის სრული გამოკვლევა
კოოპერატიულ კომისიას.

# მუშათა და გლეხთა ინსპექციაში

### მარგანეცის მრეწველობის გამოკვლევა

საქართველოს მუშათა და გლეხთა ინსპექციის სახალხო კომისარიატის კოლეგიამ განიხილა მასალები ჭიათურის რაიონის მარგანეცის მრეწველობის გამოკვლევის შესახებ.

გამოკვლევა მოხდენილ იყო გეგმის წესით თანახმად ა|კ. მუშათა და გლეხთა ინსპექციის დავალებისა, მასალები გამოკვლევისა კომისიის დასკვნით ეგზავნება ა|კ. მ|გ. ინსპექციას, ამასთანავე საკითხი ისმება განსახილველად უმაღლეს ეკონომიურ საბჭოში.

### ხონის ხე-ტყის ქარხანა

თანახმად საქართველოს სახალხო კომისართა საბჭოს დავალებისა, საქართველოს მ|გ. ინსპექციის სახალხო კომისარიატმა მოახდინა გამოკვლევა ქ. ხონის ხე-ტყის სახ
ხანისა. დაწვრილებითი
საკითხზე, რომელიც
ეკონომიური მიზანშეწონილ
თა ეს ქარხანა დარჩეს ქ. ხონ
ლეგიის დადგენილებასთან
წარედგინა სახალხო კომისა
ბჭოს.

### პროკურატურის გამო

საქართველოს მ|გ. ინ
სახალხო კოაისარიატის
წინადადება მისცა ადმინისტ
ინსპექციას ახლო მომავალში
მუშაოს და წარუდგინოს
დაწვრილებითი გეგმა პრ
რის და სასამართლოს
გამოკვლევების შესახებ.

გამოკვლევები ზემოთ ნაჩ
განოებისა დავალებული აქ
კუთრებულ კომისიას ინსპექ
ლეგიის წევრის თავმჯდომა

# საბჭოთა სასამართლ

## ა. ჯაფარიძის მოკვლის საქმე

საბრალმდებლო დასკვნის წაკითხვის შემდეგ სასამართლო ეკითხება ბრალდებულს: სცნობს თუ არა თავს დამნაშავეთ. ბრალდებული აცხადებს, რომ დამნაშავეთ თავს სცნობს მხოლოთ მკვლელობაში, მაგრამ უარყოფს მკვლელობის წინასწარ განზრახვას და მომზადებას. შემდეგ იწყება ბრალდებულის დაკითხვა.

**ბრალდებული დ. კობიაშვილი** დუშეთის მაზრის მცხოვრები, 29 წლის მთიელი, მოუთხრობს სასამართლოს თავის წარსულს და მკვლელობის ამბავს: თავისი ახალგაზრდობა კობიაშვილმა გაატარა ყაზბეგის ახლო მთის სოფლებში, სადაც მამასთან ერთათ მენახირეობას ეწეოდა. მისი მამის ოჯახი, როგორც სჩანს საკმაოთ მდიდარი იყო, რადგან 1917 წლიდან ბრალდებულს გაუყიდია ტფილისში 60 სული ცხვარი და შეუძენია ქალაქში უძრავი ქონება,—მეეტლეთა სადგომი და რესტორანი „ოქროს კუთხე“. ტფილისში გადმოსახლების შემდეგ ბრალდებული განაგრძობდა ვაჭრობას: კავკავიდან ტფილისში ჩამოჰქონდა ფ
ლაქელ ქონების სანახევრო
ლობის პირობებში ბრა
ბუნებრივათ დაუახლოვდა
და ასევე ბუნებრივათ გად
როგორც თავის მეტოქე.
რა ბოროტმოქმედების
რაც შეეხება მკვლელობის
მიზეზს დ. კობიაშვილი
დანაშაულს აწერს მოკლულ
ძეს. მისი ნაამბობის მიხედვ
ვითარება შემდეგ გვარათ
ჯაფარიძემ დააბეზღა კობ
გამომძიებელთან ჯაფარიძეზე
ნილ თავდასხმის შესახებ, რო
თითქოს კობიაშვილს ჩად
შემთხვევის შემდეგ მომხდარ
მოვნების დროს ჯაფარიძემ
რახა კობიაშვილის მოკლვ
რიძე დაედევნა თავის მტერს
თით, მაგრამ კობიაშვილმა
და აღელვებულმა მოჰკლა იგ

მოწმეთა ჩვენებამ სრულიად
ბათილა ეს ფაქტები. მოკლ
ფარიძის ცოლის ჩვენებიდ

# ჩვენი საზღვარ გარეთელი სტუდენტობა და საბჭოთა ხელისუფლება

საქართველოს სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილემ ამხ. ღოღობერიძემ შემდეგი დეპეშა მიიღო ბერლინიდან:

„საბჭოთა ამიერ-კავკასიის სტუდენტთა მეორე კონფერენცია ევროპაში თქვენი სახით, მხურვალედ ესალმება ფედერაციის მშრომელებს. კონფერენცია, გირჩევთ რა თქვენ თავის საპატიო თავმჯდომარეთ, სიამოვნებით აღნიშნავს, რომ ერთი წლის წინად დაწყებული მუშაობა ამიერ-კავკასიის სტუდენტობის შორის საზღვარ-გარეთ ძმური სოლიდარობის დასამყარებლად დამთავრებულია; თითქმის მთელი სტუდენტობა ევროპაში გაერთიანებულია საბჭოთა ხელისუფლების დროშის ქვეშ. კონფერენცია დარწმუნებულია, რომ შემდეგი მუშაობა ამ მიმართულებით წარმოებული იქნება ურყევი ენერგიით და სიმტკიცით. კონფერენციის პრეზიდიუმი: ლომაძე, მიქელიანი, მამედოვი“.

რომ ჯაფარიძე სიკვდილის მუდმივ მოლოდინში იმყოფებოდა და ყოველგვარ ზომას იღებდა, რომ კობიაშვილის მუქარა არ შესრულებულიყო: ხშირათ, ცოლ-ქმარი დაღამებისას ჩაიკეტავდენ კარს და გულის ფანცქალით ყურს უგდებდენ ყოველ ხმაურს ეზოში.

მოწმე შოშიაშვილმა,—მკვლელობის დღეს საგუშაგოზე მდგომმა მილიციონერმა,—დაადასტურა ჯაფარიძის ცხედრის შეურაცხყოფის ფაქტი. მან დაინახა როგორ ჩასწიხლა მკვლელმა მოკლულის გვამი და დაიძახა; „ძაღლი იყავ და ძაღლურათ მოკვდიო“. ვიღაც იქ დამსწრე კაცის (რომელსაც მეტი-სახელათ „დუბინა“ უწოდებოდა) პროცესზე კობიაშვილს უთქვამს: „შენი საქმე არაა. მე „ინტერესი“ მქონდა და ვიჯერე კიდეც გულიო“.

მოწმე შენგელიამ დაწვრილებით აღწერა მკვლელობის ის მომენტი, როდესაც კობიაშვილმა ფეხდაფეხ დადევნა დაჭრილ ჯაფარიძეს და რამოდენიმე ტყვიით ჩაჰკლა იგი რესტორანის დახლთან.

სხვა მოწმეებმა (ჩიქოვანმა, მახარაძემ, მატრაშოვმა და სხვამ) დაადასტურეს კობიაშვილის მუქარის და ჯაფარიძესთან მუდმივ მტრობის ფაქტიც.

სასამართლოს ექსპერტების,—პროფ. ასათიანის და ექიმ ანდრონიკაშვილის ყურადღება მიქცეული იყო ბრალდებულის ფსიქიურ თვისებებზე. შეკითხვებიდან გამოირკვა, რომ კობიაშვილი ერთხანს ავათ იყო ტიფით, ნერვები საზოგადოთ ნორმალური აქვს, არავითარი მემკვიდრეობითი პატალოგიური სენი არ სჭირს, თუმცა ბრალდებული მეტათ ფიცხია.

სასამართლოს ძიების დამთავრების შემდეგ მოკლულ ჯაფარიძის ცოლის წარმომადგენელმა პ. ქავთარაძემ წარმოადგინა სამოქალაქო სარჩელი: 12.000 მანეთი ობლების სარჩენათ 10 წლის განმავლობაში და 543 მანეთი—დაკრძალვის ხარჯი.

ბრალმდებელმა ტატიშვილმა დამტკიცებულათ ჩასთვალა ს. ს. კ. 146 მუხლში გათვალისწინებულ ბოროტმოქმედება.

დამცველმა ბარათაშვილმა მოითხოვა ბრალდებულის დასჯა 148 მუხლის ძალით, რადგან მისი აზრით წინასწარი განზრახვა და მკვლელობის წინასწარის მომზადება დამტკიცებული არ არის.

### განაჩენი

ხანგრძლივ თათბირის შემდეგ სასამართლოს გამოაქვს განაჩენი:

მკვლელობა წინასწარი განზრახვით დამტკიცებულია. ბრალდებულს ს. ს. კ-ის 146 მუხლის თანახმათ მიესაჯოს თავისუფლების აღკვეთა რვა წლის ვადით სასტიკი იზოლიაციით. სამოქალაქო სარჩელი დაკმაყოფილებულ იქნას 264 მან. რაოდენობით (დაკრძალვის ხარჯი). დანარჩენი თანხის ძიება შეიძლება სამოქალაქო სამართლის წესით. სასამართლოს ხარჯები გადახდეს ბრალდებულს.

# ქრონიკა

**ლენინზე თავდასხმის დღე.** 30 აგვისტოს, ლენინზე თავდასხმის დღეს, წითელ-არმიელთა ცენტრალურ კლუბში გაიმართება შესაფერი საღამო-მიტინგი.

— **უმუშევართა რეგისტრაცია და გაწმენდა.** საქართველოს შრომის სახალხო კომისარიატის განკარგულების თანახმად, თბილისის შრომის ბირჟის კომიტეტი ა/წ. 26 აგვისტოდან შეუდგება უმუშევართა წმენდას და ხელახლად რეგისტრაციას შრომის ბირჟაში აღრიცხულ უმუშევართა, როგორც პირველ, ისე მეორე კატეგორიისას.

ყველა უმუშევარი დანიშნულ დღეს უნდა გამოცხადდეს შრომის ბირჟაში. ვინც არ გამოცხადდება—მექანიკურად მოხსნილ იქნება აღრიცხვიდან. დაწვრილებითი ცნობები გამოქვეყნებულია შრომის ბირჟაში.

— **საბინაო-საიჯარო ამხანაგობა.** ამ ჟამად თბილისში არსებობს 30 საბინაო-საიჯარო ამხანაგობა.

— **ვაჭრების დაჯარიმება.** ბაზრის ფასების მომწესრიგებელ კომისიამ დააჯარიმა 58 ვაჭარი ბაზრის სავალდებულო დადგენილების დარღვევისათვის.

— **წყალსადენი საბურთალოში.** წყალსადენის სამმართველომ გადასწყვიტა საბურთალოს რაიონში გაიყვანოს წყალსადენი.

— **მალიარიის წინააღმდეგ ბრძოლა.** საქ. ჯანსახკომმა მოსკოვში შეიძინა სამალარიო 6 ამბულატორიისათვის საჭირო მოწყობილობა. ლაბორატორიები გახსნილი იქნება საქართველოს ციებიან სხვა და სხვა ადგილას.

— **ახალი წიგნები.** რედაქციამ მიიღო ი. ჯიშკარიანის 1 არითმეტიკა—ჩვეულებრივ და ათწილად ნაწილართა თეორია, შეფარდება და პროპორცია. 2. ძველი აღმოსავლეთი და ვეფხვის ტყაოსანი. წიგნები სუფთადაა გამოცემული.

— **საექიმო დახმარება დაზღვეულებს.** ა/კ. ფინსახკომის საქართველოს რწმუნებულის განმარტებით ავადმყოფ დაზღვეულ მუშა-მოსამსახურეებზე გაწეული საექიმო ხარჯები შეტანილი უნდა იქნეს ადგილობრივ ორგანოთა ხარჯთ-აღრიცხვაში.

— **საზოგადო კვების ფონდის გაძლიერებლად.** თბ. მუშათა მთლიან კოოპერატივების სამმართველოსთან არსებულ საზოგადო კვების განყოფილების მოქმედების გასაძლიერებლად განზრახულია გამოშვებული იქნას საობლიგაციო სესხი 100,000 მ. რაოდენობით.

— **მონადირეთა და მეთევზეთა საზოგადოება.** ა/კ. სახკომსაბჭომ დაამტკიცა სამხედრო-მონადირეთა და მეთევზეთა საზოგადოების წესდება.

— **სახლების შეკეთება.** ქალაქის კეთილმოწყობის განყოფილებამ 1 იანვრიდან 1 ივლისამდის შეაკეთა 70 საბჭოთა სახლი, 24 შრომის სკოლა, 6 საბავშვო სახლი და ბაღი, საავადმყოფოებისა და სხვა დაწესებულების 6 სახლი და 2 ხიდი.

— **წელს ხოლერა არ ყოფილა.** ჯანმრთელობის კომისარიატის ცნობით, წელს მთელ საქართველოში არ ყოფილა ხოლერით დაავადების ერთი შემთხვევა.

— **რევტრიბუნალში.** 25 აგვისტოს გასარჩევათ დანიშნულია ცხენ. ლეგიონის წითელ მოლაშქრეთა გრ. ჯალალანის და ივ. მელიქ-მურადოვის საქმე. ბრალდებათ დეზერტირობა.

— **ტფ. შრომის ბირჟა.** ტფ. შრ. ბირჟაში უმუშევართა გაწმენდა დაიწყება 26 აგვისტოდან საბჭოთა მუშაკების, მელითონეთა, გემოკვების, სახალხო-კვების და მკერავთა სექციებში.

— **სულით ავადმყოფთა აღწერა.** ჯანმრთელობის კომისარიატი ამ ჟამად აწარმოებს მთელ რესპუბლიკაში სულით-ავადმყოფთა აღწერას, მათთვის საექიმო დახმარების გასაწევათ.

— **ახალი საავადმყოფოები.** ჯანმრთელობის კომისარიატი 1 სექტემბრიდან ხსნის საავადმყოფოებს ახალქალაქში 25 საწოლით და გორში—50 საწოლით.

— **დახმარება ინვალიდების და წ.-არმიელების ოჯახებს.** სოც. უზრუნველყოფის კომისარიატმა ივლისის განმავლობაში დახმარება გაუწია 50 ომის ინვალიდს, 688 შრომის ინვალიდს და 65 წ.-არმიელის ოჯახს.

— **გლეხკომების უფლებები.** მ. და გ. ინსპექციამ შეიმუშავა გლეხკომებისათვის მოქმედების გეგმა, რომლის მიხედვით გლეხკომებს ეკრძალებათ ადმინისტრატიულ საქმეებში ჩარევა და ევალებათ თავიანთი მუშაობა შეუფარდონ ადგილობრივ ხელისუფლების მოქმედებას.

— **საავადმყოფოების დათვალიერება.** ქ. აღმასკომის ჯანმრ. განყოფილებამ ტფ. მაზრაში მიავლინა თავის წარმომადგენელნი ადგილობრივ საავადმყოფოების და სამკურნალო პუნქტების დასათვალიერებლათ.

— **ლენინის მუშათა უბანი.** ქ. აღმასკომი ამ ჟამად აწარმოებს დიდ მუშაობას ლენინის მუშათა უბანის (ყოფ. ნაძალადევი) კეთილ-მოსაწყობათ.

— **საფუთო გადასახადი.** საზოგადოება „ჩემომ“ ქ. ბათომის სასარგებლოთ საფუთო გადასახადების შესახებ საკითხი გადასცა საქ. სახალხო კომისართა საბჭოს.

— **შეცდომის გასწორება.** ჩვენი გაზეთის გუშინდელ ნომერში პარტიულ ცხოვრების განყოფილებაში შეპარულია შემდეგი შეცდომები: ცირკულიარული წერილი „ახალგაზრდათა საერთაშორისო დღის“ ჩატარების შესახებ ხელმოწერილია: „ს. ა. ლ. კ. კ. ც. კ. მდივანის“ და „სააგიტაციო საპროპაგანდო განყ. გამგეს“ მიერ.

უნდა იყოს „ს. ა. ლ. კ. კ. მდივნის მაგიერ“ და „სააგიტაციო საპროპაგანდო განყ. მაგიერ“.

### შემთხვევები.

— **ცეცხლი,** 20 აგვისტოს ღამით წითელი ჯვარის შენობას გაუჩნდა ცეცხლი, რომელიც ჩააქრო ცეცხლის მქრობელ რაზმმა. ზარალი გამოურკვეველია.

— **შეპყრობა.** პირველ სამილიციო რაიონში შეიპყრეს ჯიბგირი არჩილ მინდიაშვილი.

— **სასროლი იარაღის აღმოჩენა.** 21 აგვისტოს ფურცლის ქ. № 5, იუსუფ ტერიამოვის ბინაზე აღმოჩენილი იქნა სასროლი იარაღები.

— **ქურდობა.** 20 აგვისტოს დღით კალოუბნის ქ. № 11 გაქურდეს სერგო ბახტაძის ბინა, წაღებულია 326 მან. ნივთები.

— 21 აგვისტოს სლეპცოვის ქ. № 3, გაქურდეს კონსტანტინე კავანოვის ბინა, წაღებული ნივთების რაოდენობა გამოურკვეველია.

# რკინის გზებზე

### ოსმალეთის სარკინისგზო კომისიის ჩამოსვლა.

თბილისში ჩამოვიდა ოსმალეთის სარკინისგზო კომისია, რომელშიაც შედიან: მოძრაობის განყოფილების გამგე, ტასიმ-ბეი, ინჟ. მირ-ალი-ბეგი და რადიამ-ბეგი. კომისია მიზნად ისახავს იმ სარკინისგზო საკითხების გადაჭრას, რომელთაც კავშირი აქვს ამიერ-კავკასიის რკინის გზებთან.

### ცეცხლის გაჩენა.

22 აგვისტოს სად. ლენინაკანის სამასალო საწყობს გაუჩნდა ცეცხლი. ცეცხლი ჩააქრეს. მიზეზები ირკვევა.

### შემფასებელ საკონფლიქტო კომისიები.

ამჟამად ა/კ. რკ. გზებზე სულ 60 შემფასებელ საკონფლიქტო კომისია არსებობს.

### კომისიის გამგზავრება.

21 აგვისტოს გორში ქარხანის დასათვალიერებლად გაემგზავრა კომისია, რომელსაც ხელმძღვანელობს ა/კ რკ. გზების უფროსი ამხ. პოზდეევი.

### ჯილდო წყლის მარაგზე.

აჯიკაბულ-ბაქოს უბნებში გამოცხადებულია ჯილდო წყლის საკმაო მარაგის მომჭირნეობით ხარჯვაზე. მიზეზი გამოწვეულია წყლის მიწოდების სიძნელით.

### ვაგონის გადასვლა ლიანდაგიდან

21 აგვისტოს მატარებელი № 191 დევიჩი-ჩარხის გადასარბენზე დაეჯახა კამეჩს, რის გამო ერთი ვაგონი გადასცდა ლიანდაგს. მოძრაობა მალე განახლდა.

## სამეგრელოს მუზეუმის გარშემო

(მოქ. ს. მ—თიას და ამხ. კ. ხომერიკის და მამულაიშვილის წერილების გამო)

ქ. თბილისში შემთხვევით ჩამივარდა ხელში საქ. მწერალთა კავშირის ყოველკვირეული გაზეთის „ქართული სიტყვა“-ს № 26. ამ შოვინისტურ გაზეთში, სხვათა შორის, მოთავსებულია წერილი ვიღაც „ს. მ—თია“-ს ფსევდონიმით სამეგრელოს მუზეუმის შესახებ. მთელი. მისი წერილი ინსინუაციით და ცილის წამებითაა გაჟღენთილი.

ამ წერილის ავტორი ბრალს დებს ადგილობრივ ხელისუფლებას იმაში, რომ ვითომც უკანასკნელი არ აქცევდეს ყურადღებას მუზეუმს, ანგარიშს არ უწევდეს მას და მოუწოდებს ადგილობრივ საზოგადოებას, რათა მან ხელისუფლება აიძულოს ანგარიში გაუწიოს მისი კულტურულ მოთხოვნილებებს. საინტერესოა მკითხველმა იცოდეს, რომელ საზოგადოებას მიმართავს ეს ვაჟბატონი ასეთი მოწოდებით? თავისთავად ცხადია, რომ არა მუშებს და გლეხებს, არამედ ისეთი შოვინისტურ საზოგადოებას, დრო მოჭმულ მცონარე ინტელიგენციას რანაირსაც თავი მოუყრია „ქართულ სიტყვა“-ს გარშემო. საბჭოთა ხელისუფლებას, მისი სულის ჩამდგმელ კომუნისტურ პარტიას ანგარიში რომ გაეწია ასეთი საზოგადოებისათვის, მაშინ დადიანების და რომანოვებს ყოფილ სასახლეებში თავისუფლების წითელი დროშა კი არა, არამედ ტანჯვა ვაების ნიშანი იქნებოდა აღმართული, ამ სასახლეებში კულტურული დაწესებულებები კი არ იქნებოდა მოთავსებული, არამედ მუქთა ხორათა ხროვა, მუშათა კლასის ჯალათები იქნებოდენ მოკალათებული. შემდეგ „ს. მ-თია“ ბრძანებს, რომ ადგილობრივი ხელისუფლებას არავითარი უფლება არ უნდა ქონდეს მუზეუმის საქმეებში ჩაერიოსო და სხვა... ეს არამკითხე მეურვე ნიანგის ცრემლებს ღვრის და სასოწარკვეთილი კითხულობს: „ნუ თუ წარმოდგენია ზუგდიდის მუზეუმში მოთავსებულ განძეულობას რამე საფრთხე მოელოდეს“!.. ბ. „ს. მ-თია“-ს კარგად უნდა ცოდნოდა, ამიერიდან მაინც იცოდეს, რომ მაზრის აღმასკომს ემორჩილება ადგილობრივათ ყველა სახელმწიფო და კულტდაწესებულებები, მათ შორის ბიბლიოთეკა-მუზეუმიც, და თუ სადმე შეამჩნია უწესრიგობა, მას სრული უფლება აქვს მინიჭებული უმაღლეს ორგანოს მიერ ჩაერიოს ამ საქმეებში და მოაწესრიგოს ის. ეს კარგათ უნდა დაიმახსოვროს „ბ. ს. მ-თია“-მ სხვათა შორის წერილის ავტორი ამბობს, რომ ვითომც მუზეუმი სამი პატარა ოთახში იყოს მოთევსებული, მას გასაქანი არ ქონდეს, ზოგიერთი ისტორიული ღირებულების ნივთები კერძო პირთა ხმარებაში იყოს და სხვა... ყველაფერი ეს უსინდისო ცილისწამებაა, მეტი არაფერი.

ზემო აღნიშნულ საკითხების შესახებ ავალაპარაკოთ ფაქტები: გასაბჭოებამდე ეგრედ წოდებულ „სამეგრელოს მუზეუმის“ ჩანასახიც არ ყოფილა. თუ იყო რამე ღირსშესანიშნავი საისტორიო ნივთები, ბნელ ოთახებში იყო ჩაკეტილი. მშრომელ გლეხკაცობას მუზეუმის შესახებ წარმოდგენაც არ ქონდა, გასაბჭოების დღიდან ადგილობრივი ხელისუფლება შეუდგა სამუზეუმო ნივთების თავმოყრას, ამისათვის მან დაიქირავა მოქ. ჭანტურია, რომელიც ცოტათ იყო დახელოვნებული ამ საქმეში. მართალია, პირველ ხანებში მუზეუმი იყო მოთავსებული ერთ დიდ დარბაზში, მაგრამ როდესაც ცხოვრების სინამდვილემ წამოაყენა მისი გაფართოვების საკითხი, მაშინ მაზრის აღმასკომმა მას დაუთმო ეგრედ წოდებულ „ნიკოს სასახლის“ ნახევარი ნაწილი, რომელიც შესდგება ორი უზარმაზარის დარბაზისა და შვიდი კარგად მოზრდილი ოთახებისაგან. ასე რომ მუზეუმის განკარგულებაში მყოფი შენობაში თავისუფლად მოთავსდება სამეგრელოს ისტორიული ნაშთები.

ამის შემდეგ, მოქ. ს. მ.-თია, განა თქვენ უფლება გაქვთ წეროთ იმის შესახებ, ვითომც მუზეუმს არ ქონდეს ბინა და მოითხოვოთ ორი უზარმაზარი შენობების გადაცემა მისს განკარგულებაში, რომლებშიაც მოთავსებულა მაზრის თითქმის ყველა დაწესებულებები? გარდა ამისა ადგილობრივმა ხელისუფლებამ სალხინოდან ზუგდიდში ჩამოიტანა ყველაფერი, რაც იქ იყო ისტორიული და არა ისტორიული და ჩაბარა მუზეუმის გამგეს, აგრეთვე ყველა განძეულობა, რაც კი მოიპოვებოდა მაზრის სხვადასხვა ეკლესია-მონასტრებში.—დღეს მუზეუმის განკარგულებაშია ამნაირად თანდათანობით ხდება ჩვენი კუთხის სიძველეთა კონცენტრაცია. რაც შეეხება იმას, ვითომც „ზოგიერთი ისტორიული ღირებულების ნივთები კერძო პირთა ხმარებაში იყოს, ესეც სიმართლეს მოკლებულია.

მართალია, გასაბჭოების პირველ ხანებში ზოგიერთი ჩვეულებრივი არა საისტორიო ნივთები, როგორიცაა მეოცე საუკუნეში გაკეთებული უბრალო სკამები, მაგიდები და სხვადასხვა ჭურჭლეულობა, სანათხოვროდ ქონდათ წაღებული საბჭოთა მოსამსახურეებს. მაგრამ დიდი ხანია მას შემდეგ რაც ყველაფერი დაუბრუნეს აღმასკომს.

ამ ნაირად, როგორც მკითხველი ხედავს, ადგილობრივი ხელისუფლება თავისი სიმაღლეზე დგას. კარგად აქვს შეგნებული მუშების მნიშვნელობა, კარგათ ესმის თავისი უფლება მოვალეობა და მშვენივრად შეუძლია გაერკვიოს აღნიშნულ ნივთიერ ღირებულებაში. ბ. „ს. მ-თია“-ს წერილი თავიდან ბოლომდე ყალბ ინფორმაციაზეა აშენებული.

რადგანაც ზუგდიდის მუზეუმის გარშემო დიდი განგაშია ატეხილი, ამიტომ მე მინდა მკითხველ საზოგადოებას გავაცნო მისი ავლადიდება:

მართალია, აქ თქვენ ნახავთ ბევრ საისტორიო ნივთებს, მაგრამ თუ კი საერთოდ ავიღებთ, მაშინ ის წარმოადგენს არა სამეგრელოს გლეხობის, არამედ დადიანების ყოფა-ცხოვრების მუზეუმს. აქ თქვენ ნახავთ აუარებელი ჩვეულებრივი ჭურჭლებს და ავეჯეულობას, ათასნაირი დამტვრეული—დამსხვრეულ „ხლამებს“ რომლებიც გაკეთებულია ან მეცხრამეტე საუკუნის მიწურულში, ან მეოცე საუკუნის დასაწყისში, რომლებსაც არავითარი ისტორიული მნიშვნელობა არ აქვთ. ასეთი ნივთები ბლომად მოიპოვება თბილისის და სხვა ქალაქების ბაზარზე გასასყიდათ,და კიდევ განაგრძო მუზეუმის გამგემ „ევროპიულად განათლებულმა ადამიანმა“, მოქ. ჭანტურაიამ მაზრაში ასეთი ნივთების მოგროვება საისტორიო მასალების სახით, მაშინ, მე ღრმად ვარ დარწმუნებული, რომ არამც თუ დადიანების ყოფილ სასახლეებში, არამედ ჩვენი გლეხობის ქოხებშიაც ვერ მოვათავსებთ ასეთებს და ბინა სხვა მაზრაში უნდა ვეძიოთ. ერთი სიტყვით, ჩვენი მუზეუმი წარმოადგენს ამხ. რიკოვის თქმის არ იყოს, უზარმაზარ ჭურჭლეულობის და ავეჯეულობის მაღაზიას, სადაც მნახველს შეუძლია გაეცნოს განსაკუთრებით სამეგრელოს მფლობელი თავადების განცხრომითი ცხოვრებას.

ჩემის აზრით, მუშათა კლასის და გლეხკაცობის ბატონობის დროს ჩვენ სრულიად არ უნდა გვაინტერესებდეს რომელ სკამზე იჯდა დავითი დადიანი, ან რომელ კრაოტზე იწვა მისი მეუღლე, ან როგორი ჭურჭელზე მიირთმევდნენ ისინი საჭმელ-სასმელს და როგორი განცხრომა-ქეიფში ატარებდნენ თავისი დროს, რადგანაც მეოცე საუკუნეში ეს ყველასათვის ნათელია და ცხადზე-უცხადესი.

დასასრულ, მე არ შემიძლია დავეთანხმო ამხ. კ. კომერიკს იმაში, რომ სამუზეუმო ნივთები თბილისში იქნას გადატანილი, სასახლე გლეხკომს გადაეცეს და არა საისტორიო ნივთები მოხმარდეს ამ სასახლის გამშვენიერებას. განა ყველა სასახლეები დღეს მუშების და გლეხების ხელში არ იმყოფებიან? განა ამ სასახლეებში მუშურ-გლეხური სხვადასხვა დაწესებულებები არ არის მოთავსებული? მე ვერ გამიგია მეტი რა უნდა ამხ. კ. ხომერიკს!

ამ საქმეში უფრო მიზანშეწონილად მიმაჩნია ამხ. მამულაიშვილის მოსაზრებაი. მე კიდევ უფრო შორს წავალ: სამეგრელოს მუზეუმის საქმეების მოსაწესრიგებლად აუცილებლად უნდა დაინიშნოს სპეციალური კომისია, რომელშიაც სხვათა შორის, შევლენ ადგილობრივი პარტკომის და აღმასკომის თითო წარმომადგენელი; დაწვრილებით უნდა გამოირკვეს ნივთების ისტორიული ღირებულება, საისტორიო ნივთები არამც და არამც არ უნდა იქნეს გადატანილი თბილისში, როგორც ეს შესაძლებლად მიაჩნია ამხ. მამულაიშვილს, არამედ ის უნდა დარჩეს ქ. ზუგდიდში. არა საისტორიო—უნდა გადაეცეს ადგილობრივი ხელისუფლების განკარგულებაში.

[illegible] როგავა.

# მუშკორთა ცხოვრება

### სტამბაში

(„კომუნისტი“-ს მუშკორთა ექსკურსიის გამო)

მანქანა ვნახეთ საბეჭდი
მადიან-ბარაქიანი,
გავკვირდით სანახაობით;
რას არ ჰქმნის ადამიანი?!
შრომისა შვილი გვერდს უდგა,
ლითონებს უკარნახებდა,
ამღერდა შრომის ჰანგებზე—
ლამაზად აჩახჩახებდა.
მანქანაც სტრიქონს სტრიქონზე
„ალავერდს“ გადადიოდა,
ლითონი ყალიბდებოდა,
ისხმოდა, სწრაფად სცვივოდა.
მიატყუპებდნენ ერთმანეთს,
მთელი აზრები სდგებოდა...
რკინის ჩარჩოში აქცევდნენ,
ქაღალდზე იხატებოდა.
კბილანა შველის კბილანას;
იქ ჭიდილია ძლიერი,
ბრძოლის და შრომის ხმა ისმის
ღამეც ილევა ტკბილი.
უბრალო თეთრი ქაღალდის
დიდი მორგვები ტრიალებს,
ყოველი საქმეს ასრულებს,
მანქანა მძლავრად გრიალებს.
ღვედები ბორბლებს ევლება,
ქაღალდი გადის სრიალით,
პირში ეძლევა საბეჭდავს
ელვის სისწრაფით, ტრიალით.
იმ ღრიანცელში იქმნება
მოამბე მთელი ქვეყნისა,
გამნათლებელი მშრომელის
და აღმგზნებელი ცეცხლისა.

მუშა შაქრო ნავთლუღელი.

### მუშკორებს ზურგი უნდა გაუმაგროთ

ჩვენ თუ ვსწერთ რასმეს საწინააღმდეგოს, მხოლოდ ვსწერთ იმ მოსაზრებით, რომ ჩვენ ვემსახურებით მშრომელ ხალხს და სახელმწიფოს აღმშენებლობას. ჩვენი ნაწერებით ვამხელთ იმ ხალხს, რომელნიც პირნათლად არ ემსახურებიან მშრომელ კასას, ჩვენ საბჭოთა დაწესებულებებს; ჩვენ ვდევნით კონტრ-რევოლიუციონერებს; ჩვენ ნათელსა ვფენთ ქურდობა-მექრთამეობას და სხვ. და ამით ვეხმარებით ჩვენს მთავრობას ბოროტმოქმედების აღმოსაფხვრელად.

ჩვენი მუშკორების უმრავლესი ნაწილი წარმოშობილია ღარიბ მუშებისაგან, რომელთაც სიღარიბე მოფიქრების და წერის დროსაც კი არ აძლევს და თუ ისინი სწერენ რამეს რომელიმე არანორმალურ მოვლენაზე, ძალაუნებურად შიშობენ, რადგანაც მათ არა აქვთ გარანტია, რომ ისინი დღეს თუ ხვალ ულუკმაპუროდ არ დარჩებიან ქუჩაში თავის ნაწერის გამო. ყოფილა და არის ისეთი მაგალითი, როდესაც რომელიმე მუშკორს დაუწერია ერთერთი ქარხნის მუშათა გაჭირვებაზე და ამისათვის ის მის უფროსებს გაუსამართლებიათ და გაფრთხილებაც გამოუცხადებიათ მხოლოდ იმისათვის, რომ სიმართლე გამოუაშკარავებია. აქედან ცხადია, ჩვენი პიროვნება ხელშეუხებელი არ არის და როდესაც იძულებული ვხდებით გავუმდგეთ იქ, სადაც სიჩუმე ყოვლად დაუშვებელია. ჩვენი ცხოვრების პირობები არ არის სავსებით ნორმალური და ზურგს უკან ისეთი ძალა უნდა გვედგეს, რომლითაც ჩვენ სიმხნევე და გამბედაობა გვეძლეოდეს.

ჩვენთვის კი საჭიროა მაღალი, გავლენიანი ორგანოს განკარგულება კანონის სახით, რომ ჩვენც გაბედვით და თამამად ვამხილოთ ყოველგვარი ბოროტ-მოქმედება და ნაკლი იმ დაწესებულებისა, სადაც ჩვენ ვტრიალებთ.

სხვა მხრით ჩვენი მუშაობა უნაყოფო იქნება, რადგანაც შიში და სიმართლე ერთად ვერ მოთავსდებიან.

ალ. ბ—შვილი.

### საჭიროა ამას ყურადღება მიექცეს

(საბჭოთა მუშაკების პროფკავშირის საყურადღებოდ).

საბჭოთა მუშაკებისათვის არსებობს ურთიერთ დამხმარე კასა. კასის მიზანია დაეხმაროს მუშა-მოსამსახურეებს რაიმე უბედურების და ავადმყოფობის დროს. სამწუხაროდ. საბ. მუშაკების დამხმარე კასის გამგეობას ეს ვერ გაუგია კარგად. ცოლის ავადმყოფობის გამო მივმართე სათანადო ექიმის მოწმობით შეიარაღებულ მილიციის ადგილკომს, რათა მას აღეძრა შუამდგომლობა დამხმარე კასის წინაშე, რათა ჩემთვის მოეცათ ორი თვის ვადით 30 მანეთი. ადგილკომმა მაშინვე გადაუგზავნა ჩემი განცხადება თავის შუამდგომლობით და ექიმის მოწმობით დამხმარე კასის გამგეობას. ეს მოხდა 13 ივნისს. სამწუხაროდ დღემდე მე პასუხს ვერ ვღირსე პირველად მთლად დაკარგულდათ ჩემი განცხადება, შემდეგ ერთი თვისა როგორც იყო იპოვეს. მეუბნებიან—დღეს არა, ხვალ მოგცემთო. ბოლოს კი მითხრეს ფული თუ რამე იყო კასის განკარგულებაში, უკვე წაღებული აქვს მუშა-მოსამსახურეებსო და ფულს არ აბრუნებენ თავის დროზე. მე მითხრეს ასე და ნაცვლად კი რამდენიმე განცხადება იქნა დაკმაყოფილებული ჩემს შემდეგ შეტანილი, (ალბად ნაცნობი იყო ღნ.) საჭიროა ამას ბოლო მოეღოს, ხოლო ამხ. მუშა-მოსამსახურეებმა უნდა იცოდენ, რომ სესხად წაღებულ ფულს თავის დროზე უნდა დაბრუნება, ვინაიდან სხვამაც უნდა ისარგებლონ დამხმარე კასიდან გაჭირვების დროს. გამგეობამ კი უფრო მეტი ყურადღება უნდა მიაქციოს უფრო გაჭირვებულ მუშა მოსამსახურეებს. და თავის დროზე პასუხით მაინც უნდა დააკმაყოფილონ.

დ. ნადარეიშვილი.

### საჭიროა ადგილის გამოცვლა

(მუშ. ცენტ. კლუბის გამგეობის საყურადღებოდ)

მუშათა ცენტრალურ კლუბის წინ მოწყობილი იყო კედლის განიერი ყუთი—შუშით ჩარჩოში. პლეხანოვის პროსპექტზე გამვლელ მუშას შეძლება ჰქონდა გაჩერებულიყო ყუთის წინ და წაეკითხა გაზეთი შუშის ქვეშ. დღეს ეს ყუთი კლუბის გამგის განკარგულებით გადატანილია ბაღში, საზაფხულო შენობასთან და შიგ ჩამოკიდულია აფიშები. ყუთს ჰქონდა ერთი დანიშნულება: ყუთში ჩამოკიდულ გაზეთით სარგებლობდა ქუჩაში მოსიარულე ფართე მასა, მშრომელი ხალხი; დღეს კი ეს ხალხი მოკლებულია ამგვარ კულტურულ საშუალებას, ბაღში კი ნეპმანებს და მოხელეობას არ აინტერესებს ლამაზი აფიშების ყუთში გამოკვრა.

საჭიროა, რომ მარკოზოვმა გაიგოს და გამგეობას უნდა დაეკითხოს რაიმე ცვლილების შეტანაში, რადგანაც გამგეობა იდეური ხელმძღვანელია კლუბში მუშაობისა.

მუშკორი მელითონე.

### სიცრუემ ვერ გასჭრა

20 აგვისტოს შემთხვევით გავიარე რუსის ბაზარში, სადაც გამოფენილია დღიური მოსახმარებელი სურსათსანოვაგე. აქ ერთ ალაგას აუარებელი ხალხი იყო შეკრებილი. ერთი მანდილოსანი 15——16 წლის ბავშვს დაეჭირა და ემუქრებოდა მილიციისათვის გადასაცემად. გავიგეთ, რომ ამ ბიჭს ფული ამოეცალა მანდილოსნისათვის და გადაეცა სხვისთვის. ამ შეკრებილ ბრბოში ზოგიერთები სცდილობდნენ ბავშვის განთავისუფლებას. ქალი კი არ ცხრებოდა და ბავშვი გადასცა მილიციას. როგორც გამოირკვა, სპეციალისტ ჯიბგირებს შემუშავებული ჰქონიათ შემდეგი წესი. მცირე წლოვან ბავშვებს ასწავლიან, როგორ უნდა შეასრულონ მათ ჯიბგირების როლი; ბავშვი დაგლეჯილი ტანთსაცმელშია გახვეული და როდესაც დაინახავს ფულიან მოქალაქეს ის მობუზული ამოუდგება გვერდში და იწყებს თავის „საქმიანობას“. იქვე სდგას „სპეციალისტი ჯიბგირი“ ევროპიულად ჩაცმული, ნაქურდი ფულის ჩამოსართმევად და ვინიცობაა გაუგებენ მცირეწლოვან ჯიბგირს ფულის ამოცლას და დაიჭერენ, მაშინ ეს ვაჟბატონი გამოესარჩლება მცირეწლოვან ამხანაგს, როგორც ღარიბი მუშის ოჯახის წევრს და მოითხოვს განთავისუფლებას, სწორედ ასე იყო მოწყობილი 20 აგვისტოს. მაგრამ სიცრუემ ვერ გასჭრა და დამნაშავე მილიციაში გადააგზავნეს.

მუშკორი გ—ში.

### რკინისგზელთა ქრონიკა

— **ხელფასის დაგვიანების გამო.** თბ. რკ. გზ. პურის საცხობ-ფურნის მუშების საერთო კრებამ გამოჰყო კომისია 3 კაცის შემადგენლობით 15 ივლისიდან 27 მუშისათვის ხელფასის დაგვიანების გამოსარკვევად.

— **მუშფაკებში მისაღებად.** განცხადებების მიღება თბ. ქართულ-რუსულ რკ. გზ. მუშფაკებში სწარმოებს 3 სექტემბრამდე. განცხადებები მიიღება მუშფაკის კანცელარიაში. ანდრეევის ქუჩა—№ 42—სამშაბათობით, ხუთშაბათობით და პარასკეობით.

— **„ზაკტპო“-ს არტელის მუშები.** „ზაკტპო“-მ ჩარიცხა შტატში 10 პურის მცხობელი გადმოგზავნილი შრომის ბირჟიდან.

— **ცენტრალურ პროფსკოლაში.** მოსკოვში ცენტრალურ პროფესიონალურ სკოლაში ა.-კ. საუბნო პროფკავშირებზე ა.-კავ. რკინისგზელთა პროფკავშირმა გაანაწილა ადგილები შემდეგნაირად: იგზავნება თითო მოსწავლე ხაშურის, თბილისის, ბაქოსა და ლენინკანის საუბნო პროფკავშირებიდან.

— **რკინისგზელთა მეხუთე ყრილობისათვის:** 1-ლ სექტემბრიდან ა.-კ. რკინისგზელთა პროფკავშირის საორგანიზაციო განყოფილება ჩაატარებს რკინისგზელთა ყრილობისათვის მოსამზადებელ კამპანიებს მთელს ა.-კ. რკ. გზ. ხაზზე.

— **ბრძოლა სპირტის გადაზიდვის წინააღმდეგ.** ტფილისის დეპოს სავაგონო პარკის მუშების საერთო კრებამ დაადგინა აწარმოოს დაუნდობელი ბრძოლა სპირტის გადაზიდვის წინააღმდეგ.

— [illegible] მუშა [illegible] დასასვენებელ სახლებში. უკანასკნელ ორი კვირის განმავლობაში მთავარ სახელოსნოდან დასასვენებელ სახლებში გადაგზავნილია 120 მუშა.

— **წყლის მარაგისათვის.** სად. ნავთლუღის მუშათა საერთო კრებამ აირჩია კომისია 4 კაცის შემადგენლობით, რომელიც იზრუნებს სად. ნავთლუღის მუშებისათვის წყლის მარაგის მოწესრიგებაზე.

— **მავნე ელემენტი,** სად. ნავთლუღის ადგილკომმა გამორიცხა კავშირიდან ნავთლუღში არსებულ შპალის დამყენთ ქარხნის უფროსი—ურევი, როგორც მავნე ელემენტი პროფმოძრაობისათვის.

— **საერთო კრებები.** სად. სადახლოს მუშა-მოსამსახურეთა საერთო კრებამ დაადგინა საერთო კრებები მოწვეული იქნეს თვეში 2 ჯერ.

— **კულტმუშაობა.** სად. გრაკალის მუშების საერთო კრებამ მოსთხოვა ამხ. პროფკავშირს იზრუნოს გრაკალის მუშებისათვის კულტურულ დონის ასამაღლებლად.

— **ურთიერთ დამხმარე სალარო.** სად. გარდაბანში (კახეთის ხაზი) მუშა-მოსამსახურეთა ადგილკომი აარსებს ურთიერთ დამხმარე სალაროს.

### იურიდიული დახმარება ამხ. მუშებს

**კითხვა 1:**

მე ვცხოვრობ ფოთის ქუჩაზე. მიჭირავს ცოლშვილითურთ (5 კაცი) ერთი 65 კვად. არშინიანი ოთახი; ბინა არის პირველ სართულში; წყალი არ გვაქვს ბინაში, იგი მოგვაქვს ეზოდან. მაქვს ქუხნა, რომლითაც ვსარგებლობთ; ვმსახურობ რკინის გზაზე, მაქვს თვიურად 45 მან., გთხოვთ, გვაცნობოთ თუ რამდენი უნდა გადავიხადოთ ბინის ქირად თვიურად.

რკინისგზელი ივლიანე.

**კითხვა 2:**

მე ვცხოვრობ პლეხანოვის პროსპექტზე, ცოლშვილითურთ ორ ოთახში, სივრცით 80 კვად. არშინი; მაქვს ბინაში წყალსადენი, სამზარეულო, ვანა, აივანი, ვმსახურობ შინაგან საქმეთა კომისარიატში; თვიურად ვიღებ შრომის ხელფასად 50 მან.

გთხოვთ განმიმარტოთ, თუ რა რაოდენობით უნდა მივსცე სახლის პატრონს ბინის ქირა.

გიორგი პავლეს ძე

#### პასუხი

**1) ახ. რკინისგზელს ივლიანეს**

თანახმად ქალ. საბჭოს და აღმასკომის დადგენილებისა 3 ნოემბრ. 1923 წ. პარაგრ. 8-ის თვიურ ბინის ქირას თქვენ იხდით თითოეულ კვად. არშინზე ნახევარ კაპეიკს, სულ მთელ ბინისას 33 კაპ.

**2) გიორგი პავლეს ძეს**

თქვენ თვითეულ კვად. არშინზე იხდით 2 კაპ. სულ მთელ ბინისას 1 მან. და 60 კაპ. და დამატებით—ქუხნით სარგებლობისათვის ერთს პროცენტს, ვანისას ერთს პროცენტს და აივნისას კიდევ ერთს პროცენტს, ე. ი. სულ 1 მან. 60 კაპ. და ამის სამს პროცენტს.

# პროვინციაში

### ხეთის თემი (ზუგდიდის მაზრა)

მთელს მაზრაში არც ერთი თემი არ არის სივრცით ისეთი დიდი, როგორიც არის ხეთის თემი. ამ თემის მცხოვრებთა საერთო რიცხვი უდრის დაახლოვებით 1800 კომლს. თემში არის ერთი აფთიაქი და ერთიც ფერშალი საზოგადოების მიერ დაქირავებული. ფერშალს თუმცა არ აძლევს საზოგადოება იმდენს შრომის სასყიდელს, რამდენსაც ღებულობენ სხვა ფერშლები ხაზინიდან, მაგრამ ის მაინც პირნათლად ასრულებს თავის მოვალეობას.

განსაკუთრებით მუშა-მოსამსახურენი დიდი მადლობელ არიან ამხ. ქირიას თავდადებული მუშაობისა.

ამ უკანასკნელ დრომდის ადგილობრივ აფთიაქში რომ მიგეტანა დამზღ. კასის ექიმის რეცეპტი, მაინც არ მოგცემდენ წამალს დამზღვევი კასის ანგარიშზე. ამ ბოლო დროს საბჭოთა ექიმის ამ პუნქტის ფერშლის რეცეპტით აფთიაქიდან წამალს უფასოდ აძლევენ მოსამსახურეებს. ამით მდგომარეობა არ გაუმჯობესებულა. რაც გინდა ავად იყოს დაზღვეული მუშა-მოსამსახურე, აუცილებლათ უნდა წავიდეს დ. ხობში იქ უნდა გამოაწერიოს ექიმს წამალი და მხოლოდ შემდეგ შეუძლია ამოიტანოს ხეთის აფთიაქიდან.

საჭიროა მუშა-მოსამსახურეებს წამლის მიღების ნებართვა ადგილობრივ ეძლეოდეს.

აკ. იულიანიშვილი.

### გომბორი (კახეთი)

17 აგვისტოს ჩაეყარა საფუძველი გომბორის თემის სასოფლო საგლეხო კოოპერატივს. გლეხობის დიდი ხნის ნატვრა და მოლოდინი ასრულდა.

ცეკავშირის ინსტრუქტორის ამხ. ცომაიას მოხსენების შემდეგ, კრებაზე დამსწრეთა უმრავლესობამ განაცხადა სურვილი წევრებათ ჩაწერისა; ჩაეწერა 125 ოჯახი. ერთხმათ მიღებულ იქნა კოოპერატივის წესდება, რომელიც ქართულ-რუსულ ენაზე წაიკითხა ამხ. ცომაიამ. შემდეგ ამისა წევრებმა აირჩიეს თავიანთ შორის გამგეობა და სარევიზიო კომისია.

მიუხედავათ იმისა, რომ წარსულის მაგალითებიდან გლეხობა ძალიან დაშინებული იყო კოოპერაციით და ზოგი მათგანი გამოსთქვამდა შიშს „ვაი თუ შევიტანოთ ფულები და ისევ დაგვეკარგოსო“, მაგრამ უმრავლესობამ მაინც იგრძნო კოოპერატივის დაარსების აუცილებლობა. ამხ. ცომაიას სიტყვების დამთავრებისას, გლეხობაში გაისმოდა საყვედურის ხმები: „მეოთხე წელიწადია გელოდებით და ერთი კოოპერატივი ვერ დაგვიარსეთო“.

ასეა თუ ისე კოოპერატივი დაარსდა და ამ მოკლე ხანში შეუდგება მუშაობას. ვუსურვებთ კოოპერატივის გამგეობას ნაყოფიერ მუშაობას, გლეხების საკეთილდღეოთ.

ფოლადი.

### ღია წერილი ამხ. გარ—ნარს

გაზეთ „კომუნისტი“-ს ამა წლის 28 ივნისის ნომერში თქვენ მიერ მოთავსებული იყო წერილი რომელშიაც თქვენ აღნიშნავდით, რომ ვითომ ონტოფოს სკოლის მასწავლებლები და მოწაფეები 7 ივნისს დამთვრალიყვნენ და ასეთებში მოწაფეები წინეთაც შემჩნეული ყოფილიყვნენ. ყოველივე ეს თხოულობს დამტკიცებას, ამიტომ გიწვევთ სამედიატორო სასამართლოში და გთხოვთ 7 დღის განმავლობაში ამ წერილის დასტამბვიდან დაასახელოთ თქვენი მედიატორები. ჩემის მხრით ვასახელებ ამხ. ამხ. ევსევი თოფურიას და ლევანი ნადარეიშვილს. წინააღმდეგ შემთხვევაში მე უფლებას ვიტოვებ გიწოდოთ სათანადო სახელი.

ონტოფოს სკოლის გამგე: ნ. მინოშვილი.

### სოფ. ორხვი (ლეჩხუმის მაზრა)

სოფ. ორხვი მდებარეობს ქ. ქუთაისიდან 41 ვერ. მანძილზე, ამ სოფელს თავის გეოგრაფიული მდებარეობის გამო ხიდი ისე სჭირდება, როგორც თევზს წყალი.

ადგილობრივმა ხელისუფლებამ სოფ. ტვიშს და ორხვს შორის რიონზე ააგო ხიდი, ეს ხიდი კარგი ნაკეთებია, მაგრამ ერთი დიდი ნაკლი აქვს. ხიდის კურტანი მიშენებულია ისეთ ადგილზე, სადაც წყალდიდობის დროს პირდაპირ დაარტყამს მეწყერი, რომლის შედეგი იქნება ხიდის თავის ხელოვნური კურტნით განადგურება; რომ ეს ასე არ მოხდეს, საჭიროა თავის დროზე სიმაგრის გაკეთება, რომელიც უზრუნველყოფს ხიდს მოსალოდნელ დანგრევისაგან. სრული დარწმუნებული ვარ ამ საქმეს თავის დროზე მიექცევა შესაფერი ყურადღება.

დ.

### სოფელი ლუხვანო (ლეჩხუმის მაზრა)

სოფ. ლუხვანო ქალაქ ცაგერიდან დაშორებულია 7—8 ვერსით, გაშენებულია მთის დიდ კალთებზე.

გლეხობა მისდევს სიმინდის, ლობიოს, ქერის, პურის და ღომის თესვას. უმთავრესი დარგი სიმინდისა და ქერის თესვაა. მოსავალიც მცირეა და გლეხობის ხშირი სტუმარია სიმშილობა. ამ სოფელში კარგი ვაშლი მოდის, თითქმის ყოველგვარი ჯიშის ვაშლის გარდა, აქ სხვა ხილეულობაც კარგ მოსავალს იძლევა და გლეხობა ცოტაოდენ შემოსავალს აქედან ღებულობს.

სასურველია, რომ მცოდნე აგრონომებმა რჩევა-დარიგება მისცენ ხალხს მეხილეობის შესახებ.

აღსანიშნავია, რომ მესაქონლეობას და მეფუტკრეობასაც ძალიან ეტანება ლეჩხუმის მაზრის გლეხობა, რაც შეეხება მევენახეობას, ამ სოფლის ცივი ჰაერი ხელს უშლის ვაზის ზრდა-განვითარებას. სწავლა-განათლების მხრივ შედარებით სხვა მეზობელ სოფლებზე ლუხვანო წინ სდგას. ხსენებულ სოფელში არსებობს ერთი ოთხგანყოფილებიანი სკოლა, მოწაფეთა რიცხვიც საკმაო, მაგრამ სკოლა მოუწყობელია. კარგი იქნებოდა რომ ეკლესიის შენობა გამოეყენებიათ სკოლისათვის. საჭიროა აგრეთვე ბიბლიოთეკა-სამკითხველოს გახსნა ამ სოფელში.

ა. ნამკაშურისპირელი.

## პროვინციის ქრონიკა

— **შავ დაფაზე.** სოც. უზრუნველყოფის კომისარიატის განკარგულებით შავ დაფაზე შეტანილი იქნა ჭიათურის გლეხკომის სასადილოს „მოღვაწენი“ სხვადასხვა დაუშვებელ მოქმედებისათვის.

— **ზუგდიდის განტვირთვა.** სამაზრო აღმასკომმა შეადგინა განსაკუთრებული კომისია ზუგდიდის საეჭვო და უსაქმო ელემენტებისაგან განსატვირთავათ.

— **ექიმობაში.** ზუგდიდის სამაღმასკომმა გასცა განკარგულება ვიღაც ალექსი ჭავჭავაძის შესაპყრობათ, რომელიც „ექიმის“ სახელით დადის სოფლიდან სოფლათ და ატყუებს გლეხებს.

— **გლეხკომის სასადილო.** დაბა ლაილაში ადგილობრივმა გლეხკომმა გახსნა სასადილო სამკითხველოთი.

— **ფილოქსერა.** უკანასკნელ წლების განმავლობაში ბორჩალოს მაზრაში ფილოქსერა მუსრს ავლებს ვენახებს.

— **ახალი რაიაღმასკომები.** ოზურგეთის სამაზრო აღმასკომმა აღძრა შუამდგომლობა, სადაც-ჯერ არს, რათა მაზრაში არსებული 8 რაიაღმასკომი გადიდებული იქნეს კიდევ სამი რაიაღმასკომით.

— **კურორტ შოვსა და მამისონის უღელტეხილს შორის აღდგენილი იქნა საურმე გზა.**

— **მოსავალი ლეჩხუმში.** ლეჩხუმის მაზრიდან მიღებული ცნობით, იქ წელს მოსავალი საშუალოზე მეტი იქნება, განსაკუთრებით სიმინდის და ვენახის მოსავალს კარგს მოელიან.

# ახალი ჯურის აფერისტები

(წერილები რედაქციის მიმართ)

### ყოფილ ჟურნალ „კავკასიონის" რედაქციის საყურადღებოდ

მოგახსენებთ, რომ მარტის 15 რიცხვში გვეახლა ამიერ-კავკასიის რკინის გზის სამმართველოში ორი მოქალაქე—ჩიქვანაია და კახრაძე, რომლებმაც გაგვაცნეს თავიანთი თავი მანდატების მიხედვით ჟურნალ „კავკასიონის" რედაქციის ოფიციალურ წარმომადგენლებათ და გვთხოვეს გამოგვეწერა ზემოხსენებული ჟურნალი. წლიურად ჟურნალი ღირდა 20 მან. თვიურად, აგენტების სიტყვით, ხელისმომწერლებს უნდა ეხადათ 1 მ. 70 კ. ჟურნალი ორი წიგნის მეტი არ გამოსულა ჩვენგან კი წაიღეს 15 მან. თითო ხელის მომწერლისაგან.

ეს ვაჟბატონები გაჩუმებული არიან და ყურსაც არ იბერტყავენ, ზედმეტი ფული რომ აქვთ წაღებული. მაგრამ ნუ დაავიწყდებათ, რომ მუშა-მოსამსახურენი არ შეაწევენ ამ ავანტიურისტებს ოფლით და დაკოჟრილ ხელით შენაძენ კაპეიკს. ჩვენ კი კატეგორიულათ მოვითხოვთ დაუყოვნებლივ დაგვიბრუნონ უკან მათ მიერ ზედმეტი წაღებული ფული.

საფინანსო-საანგარიშო სამსახურის 56 ხელის მომწერლების მონდობილობით ზ. კ.

### შეკითხვა ჟურნალ „კავკასიონის" ყოფილ რედაქტორს პავლე ინგოროყვასადმი

მოქ. პავლე ინგოროყვა!

ამ რამდენიმე თვის წინად ვიღაც მოქ. მოქ. თომა ჩიქვანაიამ და დ. კახრაძემ, რომელნიც თქვენი ჟურნალის „კავკასიონის" რედაქციის მთავარ აგენტის სახელს ატარებდენ და რომელთაც ჰქონდათ თქვენ მიერ მიცემული სათანადო ქაღალდი,—ტრამვაის მუშებში გამართეს ჟურ. „კავკასიონზე" ფიქტიურად ხელის მომწერთა აღრიცხვა და ასამდე მუშებს მოაწერინეს მოტყუილებით ხელი—„ჯერ ჟურნალი დაგირიგდებათ, შემდეგ გადიხდით ერთს მანეთსო". მუშებს ეგონათ, რომ სულ იყო გადასახადი ერთი მანეთი და არა ოცი მანეთი, როგორც ეს ბოლოს გამოირკვა. რამოდენიმე კვირის შემდეგ გავიგეთ, რომ ჩიქვანაიას ის ქაღალდი, რომელზედაც მხოლოდ ხელის მომწერლების სახელი და გვარი იყო აღნიშნული, გამოუყენებია ბოროტად და კვაჭი კვაჭანტირაძის გზით დაუწყია საქმის მოქახრაკება. ქაღალდზედ, რომელსაც მხოლოთ გვარების მეტი არაფერი ეწერა, აღუნიშნავს; სია იმ პირთა, რომლებმაც ერთი წლით გამოიწერეს ჟურ. „კავკასიონი"-ი. ამ საბუთით ეს ვაჟბატონები მიბრძანებულან აღმასკომში და აუღიათ ერთბაშათ 2.000 მანეთი. ცხადია, ასეთი აფერისტული გზით მუშების დაბრმავება ერთის მხრივ და აღმასკომის შეცდომაში შეყვანა მეორეს მხრივ—მუშებში ზიზღს და აღშფოთებას იწვევს. ჩვენ გადაჭრით ვაცხადებთ, რომ „კავკასიონი" ერთი წლით არ გამოგვიწერია და ეს ყველაფერი მოხდა არა სინდისიერი გზით, როგორც ვიცით, „კავკასიონი" არ გამოვა. აღმასკომი კი ფულს ქვითავს ხელფასიდან. ჩვენ მოვითხოვთ ჩვენი ფულის დაბრუნებას. საბჭოთა ხელისუფლების დროს ჩვენ არ დაუშვებთ ასეთ გზით მუშების ექსპლოტაციას.

1) ციცხვაია, 2) კუჭავა დომენტი, 3) კუკულაძე გიორგი, 4) ფილიმონ მაღრაძე, 5) მუსერიძე, 6) ფრანგიშვილი, 7) შერმატინი, 8) სოლაღაშვილი, 9) ბახია, 10) კემულარია, 11) ი. მაჭავარიანი, 12) ბარამაძე.

# მთავრობის მოქმედებანი და განკარგულებანი

## წესები

### ს. ს. ს. რ. პედაგოგიურ ტეხნიკუმებში და თბილისის პედაგოგიურ ინსტიტუტებში მსმენელთა მიღების შესახებ.

1. პედაგოგიურ ტეხნიკუმში მიიღებიან, განურჩევლად სქესისა, ის პირნი, რომელთაც დამთავრებული აქვთ 9 წლიანი შრომის სკოლა, მომავალ 1924 | 25 სასწავლო წელს კი, სანამ 9 წლ. სკოლა ჩამოყალიბდებოდეს, ტეხნიკუმის სრულ კურს დამთავრებულნი, წლოვანებით არა ნაკლებ 16 წლისა.

შენიშვნა: ქალაქის ცენზის გადაცდენა მიღების დროს შეიძლება მხოლოდ პროფგანათლების მთავარმართველობის ნებართვით ყოველ თითოეულ შემთხვევაში.

2. პედაგოგიური ტეხნიკუმში შესვლის მსურველნი მიჰმართავენ განცხადებით გამგეს განათლების, სოციალ. მდგომარეობის და დაბადების მოწმობების ასლებითურთ თანდართვით.

3. პირველ რიგში ჩაირიცხებიან კომუნისტურ პარტიის და ახალგაზრდა კომუნისტთა კავშირის წევრები, ხოლო დარჩენილი ვაკანსიები მიეცემა პროფეს. კავშირთა წევრების შვილებს.

4. პედაგოგიურ ტეხნიკუმში შესვლის მსურველთ ენიშნებათ საცდელი კოლოკვიუმები ქართ. ენასა (წერითი სამუშაო და ზეპირი გამოცდა. რუსულ ენასა, მსოფლიო და სამშობლო ისტორიასა, მათემატიკასა და ფიზიკაში.)

5. კოლოკვიუმებზე დაიშვებიან მხოლოდ ისინი, ვინც ექიმის მიერ, წინასწარ ჯანმრთელობის შემოწმების შემდეგ, ჯანსაღად იქნებიან აღიარებულნი.

6. კოლოკვიუმებზე დაშვების და მათ შედეგების მიხედვით მსმენელად ჩარიცხვის საკითხს არჩევს და სწყვეტს საბოლოოდ მიმღები კომისია, რომელშიაც შედიან: ტეხნიკუმის (ინსტ.) გამგე, პროფგანათლების მთავარმართ. სოც. აღზრ. მთავარ ახალგაზრ. კომ-კავშ. და განათლების მუშ. კავშ. წარმომადგენელნი.

შენიშვნა: პროვინციაში პროფგანათლების და სოც. აღზრდის მთავარმართველ. წარმომადგ. მაგიერ განათლების ინსპექტორი.

7. ვინც სწავლის დასაწყისისათვის არ გამოცხადდება, იგი მექანიურად გამოირიცხება და მის მაგიერ ჩაირიცხება სათანადო კანდიდატი.

8. პედაგოგიურ ტეხნიკუმის მსმენელს არ აქვს უფლება, სანამ ის პედაგოგიურ ტეხნიკუმში სწავლობს. რაიმე დაწესებულებაში იმსახუროს ან ითვლებოდეს მსმენელად სხვა რომელიმე სასწავლებელში.

9. მსმენელნი, რომელთაც პედაგოგ. ტეხნიკუმში ეძლეოდათ სტიპენდია, მოვალენი არიან კურსის დამთავრების შემდეგ, სოციალურ აღზრდის მთავარმართველობის დანიშვნით, იმსახურონ 5 წელი სოციალურ აღზრდის ამა თუ იმ დაწესებულებაში. ამის შესახებ სტიპენდიაზე ჩარიცხვისამებრ მსმენელი სდებს სათანადო ხელწერილს.

10. თუ მსმენელი სტიპენდიანტი სათანადო ყურადღებით და ბეჯითობით არ ეპყრობა თავის მოვალეობას, (საპატიო მიზეზს გარეშე არ ესწრება მეცადინეობას, არ აბარებს თავის დროზე რეპეტიციებს, არ იღებს მონაწილეობას პრაქტიკულ ვარჯიშობაში და სხ. მას სტიპენდია უნდა ჩამოერთვას პედაგოგიური საბჭოს მიერ და მის მაგიერ წარმოდგენით იქნეს პროფგანათლების მთავარმართველობაში სტიპენდიაზე დასამტკიცებლად უფრო ღირსი კანდიდატი.)

პროფგანათლების მთავარგამგეობის მმართველი მ. მეძმარიაშვილი.

# პარტიული და საბჭოთა კალენდარი

## პარტიული

— საქართველოს კომუნისტურ პარტიის ცენტრალურ კომიტეტის სააგიტ-პროპაგანდ. ექსპედიცია აცნობებს ქუთაისში ქართული დივიზიის პოლიტ-განყოფილებას, რომ მისი ხვედრი ლიტერატურის მისაღებათ უნდა გამოგზავნონ წარმომადგენელი.

საქ. კომ. პარტიის სააგ. პროპგანყოფილების ექსპედიციის გამგე ა. კოჩლავაშვილი.

— ორშაბათს, 25 აგვისტოს, საღამოს 6 საათზე საქ. პროფკავშირთა საბჭოს შენობის მცირე დარბაზში გააკეთებს მოხსენებას ს. ს. რესპუბლიკების საკავშირო მუშათა და გლეხთა ინსპექციის სახ. კომისარიატის წარმომადგენელი ამხ. იკონომოვი შემდეგ თემაზე „**მუშათა და გლეხთა ინსპექციის ამოცანები სახელმწიფო აპარატის გაუმჯობესების დარგში**".

ა | კ. და საქ. მ | გ. ინსპექციის სახ. კომისარიატები წინადადებას აძლევს ა | კ. და საქ. ყველა ცენტრალურ დაწესებულებათა თანამშრომელთ, რომელთაც უკავიათ თანამდებობანი: საქმეთა მმართველისა, საერთო და საორგანიზაციო განყოფილების გამგისა, პასუხისმგებელ მდივნისა, კანცელარიის უფროსისა, მდივნისა ან საქმის მწარმოებლისა,—აუცილებლივ დაესწრონ აღნიშნულ მოხსენებას და დანიშნულ დროზე დაუგვიანებლივ გამოცხადდენ.

— ს. კ. პ. ცეკას **სააგიტ. საპროპ. განყოფილება** აცნობებს კ. პ. ყველა ადგილობრივ ორგანიზაციებს, რომ ცეკას მიღებული აქვს კიდევ 2 დამატებითი ადგილი:

ერთი „წითელი პროფესურის" ინსტიტუტის მოსამზადებელ კურსებზე და მეორე ამავე ინსტიტუტის სამართლის განყოფილებაში.

ცნობების მიღება-გაგზავნის წესების შესახებ შეიძლება ცეკას სააგიტ. საპროპ განყოფილებაში.

# განცხადებები

## კონკურსი

### ჯანმრთელობის სახ. კომისარიატი

აცხადებს კონკურსს შემდეგ თანამდებობათა დასაჭერად:

1) თვალის ცენტრალურ საავადმყოფოს უფროსი ორდინატორის.
2) სურამის ფსიქიატრიულ კოლონიის გამგის,
3) ცენტრალურ ფსიქიატრიულ საავადმყოფოს ორდინატორის,
4) გამასწორებელ სახლების ცენტრალურ საავადმყოფოს ქირურგის და
5) გამასწორებელ სახლების ცენტრალურ საავადმყოფოს ვენეროლოგის.

განცხადებები შემოტანილი უნდა იქნას სახ. ჯამრთელობის კომისარიატის ადმინისტრ. საორგ. განყოფილებაში, იქვე შეიძლება მიღება ცნობებისა სამსახურის პირობების შესახებ.

კონკურსის ვადა თვალის ცენტრალურ საავადმყოფოს უფროს ორდინატორისათვის—24 სექტემბერი, დანარჩენებისათვის 30 აგვისტო.

სამკურნალო განყოფილების გამგე და ადმინისტრ.-საორგ. განყოფ. გამგის მოვალეობის დრ. აღმასრულებელი ექიმი გოცირიძე.

ბ. № 1449.

---

გარდაცვალებულ

## თამარ საყვარელიძის

დედა და ძმა გულითად მადლობას უხდიან ყველას, ვინც გაიზიარა მათი მწუხარება, ან დახმარება აღმოუჩინა გარდაცვალებულს ავადმყოფობის დროს. განსაკუთრებით მადლობა სამკურნალო კრებულს, განათლების კომისარიატს, კინო-სექციის და ხელოვნების მუშაკთა კავშირს მშობლიური მზრუნველობისათვის მიცვალებულისადმი.

1—1

---

## თბილისის ქალაქის ბანკი

აცხადებს, რომ სამშაბათს, ამა წლის 26 აგვისტოს, დღის 12 საათზე, ბანკის საწყობებში—სომხური ბაზარი № 62 დანიშნულია

## საჯარო ვაჭრობა

რომლითაც გაიყიდება ადგილობრივ

### დამუშავებული პაპიროსის ნაწარმოები

## 100 ფუთის რაოდენობით

პირობების გაგება შეიძლება თბილისის ქალაქის ბანკში პუშკინის ქუჩა № 3.

9-დან 12 საათამდე ყოველ დღიურად.

№ 1498—2—1

---

სწარმოებს ხელისმოწერა 100 სხვადასხვა ჟურნალზე

## აუცილებლად წაიკითხეთ

და დაიხსომეთ პირობები მუშათა კრედიტისა ლიტერატურაზე:

### რ. ს. ფ. ს. რ. სახელგამის ამიერ-კავკასიის განყოფილებაში

აძლევს კოლექტივებში შეკავშირებულ ყველა მუშებს და მოსამსახურეებს წიგნებს ნისიათ 8 თვის ვადით.

აღნიშნულ პირებს ეძლევათ შეღავათი საგამომცემლო ფასიდან 15 პროცენტი რ. ს. ფ. ს. რ. სახელგამის გამოცემებზე და 10 პროცენტი სხვა გამოცემებზე.

შეიძლება წიგნების არჩევა დიდი რაოდენობით მეცნიერების ყველა დარგიდან, საბჭოთა კავშირის ეროვნებათა ყველა ენებზე.

გამოიძახეთ წარმომადგენელი ტელეფონით—№ 19—02

წიგნის მაღაზიები თბილისში—რუსთაველის პრ. № 16.
ბათომში—მე-3-ე ინტერნაციონალის ქუჩა, № 15.

ბ. 1445 2—1

სწარმოებს ხელისმოწერა 100 სხვადასხვა ჟურნალზე

---

## ზემო-ავჭალის ჰიდრო-ელსადგურის სამუშაოთა სამმართველო

ამით აცხადებს, რომ ა. წ. 5 სექტემბერს მის მიერ

## დანიშნულია შეჯიბრება

მთავარი ქვე-სადგურის (ქალაქის ელსადგურის № 1 გვერდით) ასაგებ სამუშაოთა გაცემაზე ქალ. თბილისში.

ეს სადგური შესდგება ერთი დიდი აგურის ორ-სართულიანი შენობიდან, მოცულობით დაახლოვებით 1950 კუბ. მეტრისა, რომელსაც მიშენებული ექნება აგურის ერთ სართულიანი შენობა, მოცულობით დაახლოვებით 731 კუბ. მეტრი და აგურის პატარა შენობისაგან, მოცულობით 1080 კუბ. მეტრი.

ყველა შენობები რკინა-ბეტონის გადახურვით და ძგიდეებით.

ყველა სამუშაო სწარმოებს მონარდეს მასალებით და მისივე იარაღებით.

ზაჰესკომიდან მონარდეს მიეცემა დიდუბეში მხოლოდ ცემენტი და ცერეზიტი.

ვადა სამუშაოს დასამთავრებლად 6 თვე.

დანიშნულ ვადაზე სამუშაოს დაუმთავრებლობისათვის ზაჰესკომი ახდევინებს მონარდეს ჯარიმას. ვადაზე გადაცილებულ თითეულ დღისათვის დაუმთავრებელ სამუშაოს ღირებულობის 1 პროც. ხელშეკრულების ფასების მიხედვით.

ის პირნი, რომელთაც სურთ მთლად აიღონ ხსენებული სამუშაო, შემოიტანენ წერილობითი განცხადებას ღერბის მარკების დაკვრით, დაწერილს დაწესებულ ნიმუშის ბლანკზე, ჩადებულს დაბეჭდილ კონვერტში წარწერით: „ზაჰესის სამუშაოთა უფროსს მთავარი ქვე-სადგურის შეჯიბრებაზე 5 სექტემბერს 1924 წ.", რომელ რიცხვშიც 12 საათზე მოხდება კონვერტების გახსნა.

განცხადებას უნდა ჰქონდეს დართული ქვითარი ზაჰესკომის სალაროში განცხადებული თანხის 5 პროც. საწინდრის სახით შეტანის შესახებ.

საწინდარი უძრავ ქონების სახით არ მიიღება.

წინდაწინ საწინდრის შეტანისაგან თავისუფლდებიან სახელმწიფო ორგანოები და აღნუსხული მუშათა ამხანაგობანი (არტელები).

იმ პირთა და ორგანიზაციებს, რომელთაც სამუშაო არ მიეცემა, შეჯიბრების შედეგების გამრკვევისთანავე საწინდარი სასწრაფოთ უკან უბრუნდებათ. ხოლო საწინდარი იმ პირისა და ორგანიზაციისა, რომელმაც სამუშაო მიიღო, რჩება ზაჰესის სალაროში და გადიდებული იქნება 10 პროც.-მდე პირველად მისაღებ თანხიდან დაჭერით, და დაუბრუნდება მას მთლიანად მხოლოდ მაშინ, როცა სავსებით და რიგიანათ შეასრულებს სამუშაოს. სახელმწიფო ორგანოების და მუშათა არტელების საწინდარი მათ მიერ განცხადებული ფასის 10 პროც.-ის რაოდენობისა შესდგება მათი ხვედრი ფულისაგან 15 პროც.-ის დაჭერით.

დაწვრილებითი პირობების, ნახაზების, სამუშაოთა რაოდენობის და ტეხნიკური პირობების განხილვა შეიძლება ზაჰესის ტეხნიკურ განყოფილებაში (ოთახი № 4) ყოველ დღე 10 საათიდან დღის 12 საათამდე, (ქ. თბილისი ლადო დუმბაძის ყოფ. ველიამინოვის ქ. № 3) იქვე იძლევიან განცხადებისათვის დაწესებულ ნიმუშის ბლანკებს.

სამუშაოთა უფროსი ინჟინერი: ბ. ქიქინაძე.

3—1 ბ. № 1450

---

## გასაყიდად გამოვიდა

ი. ჯიშკარიანის

## არითმეტიკა მოზრდილთათვის

2 ძველი აღმოსავლეთის წარსული და

## ვეფხის ტყაოსანი

მოკლე ხანში ცალკე წიგნაკებად გამოვა მისივე:

1. ახალი და ძველი წესი წელთაღრიცხვისა
2. აზიისა და კავკასიის სახელწოდებათა წარმოშობა

№ 1808 2—1

---

### ვამზადებ და ვასწორებ ჩამორჩენილთ

## მათემატიკაში

არითმეტიკაში, ალგებრაში, გეომეტრიაში, ტრიგონომეტრიაში.

უმაღლეს და საშუალო სასწავლებელში შესასვლელად. პლეხანოვის ქ. № 2 (შესავალი ალექსის ქუჩიდან № 5) მიღება 8—1 ს. 3—7 ს.

1769 5—5

---

ექიმ სოკლეტის, გამერტენ შმიდტის და ბილის

## კეფირი

გამოკვლევათა მიხედვით და პრიერ იერუსალიმსკის და მეწველეს ცდების თანახმად

ხელს უწყობს წონაში მატებას, ითვლება საუკეთესო საშვალებად სისხლნაკლულოვანების, კუჭის კატარის, ფილტვის ტუბერკულოზის და საერთო სისუსტის დროს

მიმართეთ თქვენს ექიმს და ის დაგინიშნავთ კეფირის როგორი ნორმა უნდა დალიოთ თქვენი ჯანმრთელობის აღსადგენად.

მისამართი· ლორის-მელიქოვის ქ. № 6 ი. კორონას ლაბორატორია-

კავშირის წევრებს ეძლევათ განსაკუთრებული შეღავათი

განყოფილება ფუნიკულიორზე და აბასთუმანში

10—9 ბ. 1357

---

## ქართული გაერთიანებული მეთაურთა სკოლა

ამით აცხადებს, რომ 25 ამა აგვისტოს სკოლის ბინაზე (ვაკე, ყოფილი ქართ. სემინარიის შენობა)

## საჯარო ვაჭრობით გაიყიდება

ძველი ტანთსაცმელი და სხვადასხვა რკინეულობა.

მსურველთ მიმართონ სკოლის სამეურ. ნაწილის უფროსს.

ქვ. 1797 2—2

---

ფოთის მუშათა და გლეხთა მილიციის თანამშრომელი და სახალხო სასამართლოს მონდობილობის აღმასრულებელი

**პ. გ. პოზალაძე** ამით საყოველთაოდ აცხადებს, რომ მის მიერ 5 სექტემბერს, ა. წ. თანახმად აღმასრულებელი ფურცლისა ფოთის სახალხო მოსამართლისა № 999,

დანიშნულია

## საჯარო ვაჭრობით

ქალაქ ფოთის სასამართლოს დარბაზში გაყიდვა ქონების ლუკა სოფრომის ძე ტულუშის, დასაკმაყოფილებლად ვარდენ ჩხაიძის 1223 ჩერვონული მანეთისა. ხსენებული ქონება მდებარეობს ქალაქ ფოთში სომხის ქუჩაზე და შეიცავს ერთსართულიან აგურის სახლს ხუთი თვალით, თუნუქით დახურული, ორი თვალი ხის ფარდული ეზოში, 12 ფიცარი და ნარგავ-ნაშენი ამავე ეზოში, რომელიც ზომით შეიცავს 247 5 | 10 კვადრატიულ საჟენს და რომელიც არის შეფასებული 900 მანეთათ ვაჭრობა მოხდება შეფასებაზე. ცნობის მიღება შეიძლება ყოველდღე 9 საათიდან 2 საათამდე გარდა უქმისა პირველი უბნის მილიციის სამმართველოში.

ბ. 1443 2—2.

---

ელექტრონის და სინათლის

## სამკურნალო

საწოლებით რენტგენი დ·არსონვალი

### მიხეილ ბედევანიშვილის სახელობის

ნერვიულ და შინაგან ავადმყოფებისათვის, [illegible] ექიმობას აწარმოებენ

სამკურნალო სწარმოებს ექ. [illegible]

ბით. თბილისი, ყორღანოვის ქ. № 20.

25—9

---

## ექიმი გ. გ. მეგრაბიანი

შინაგანი, გულისა და პლექით დაავადმყოფებულნი. სპეც. ციების წამლობა—შეშხაპ. 914, ყოველ ორგანოების განათება, ფოტოგრაფიული გადაღება და კიბოს წამლობა

## რენტგენის სხივებით

დილ. 9—1 დღ. და 6—8 ს. საღ. ბებუთოვის ქუჩა № 23.

1562 13—2

---

## წყალგაუვალი

## ფა

## მოსასხამი

საქ. სახალხო მეურ. უმაღლეს საბჭოს

## „ბრუზშვეი-პრომ"-ი

რუსთაველის პრ. № 11 (გოლოვინსკი)

## გაყიდვა ხდება ბითუმად და ცალობით

ბ. 1446 1—1

---

**დაკარგე** დამზღვევი კასის წიგნაკი № 3480 დავით ჩიჩინაძის სახელზე. ჩაითვალოს გაუქმებულად.

1—1

**დაკარგე** პირადობის მოწმობა მიცემული ფოთის მილიციის სამმართველოდან ვასილ კომახიძის სახელზე. ჩაითვალოს გაუქმებულად.

**დაკარგე** მეტრიკული № 562 გიორგი პერტაიას სახელზე ჩაითვალოს გაუქმებულად.

№ 1810—1—1

**დაკარგე** მეტრიკული № 585 ბ. ხელე ზუზინიძის სახელზე ჩაითვალოს გაუქმებულათ.

№ 1811—1—1

**დაკარგე** ბირჟის წიგნაკი, ბილეთი № 1502 | 528 სექტემბერი 1923 წ. მოცემულია რკ. გზის ბირჟიდან ანნა ალავერდოვის სახელზე. ჩაითვალოს გაუქმებულად.

№ 1807—1—1

**დაკარგე** სამხედრო აღრიცხვის წიგნაკი № 31 გაცემული სენაკის მაზრის სამხედრო კომისარიატის მიერ ვაცხადებ გაუქმებულათ ისახარ ზუბულიშვილი.

№ 1809—1—1

**დაკარგე** მედსანშრომის პროფკავშირის წიგნაკი № 62 გაცემული გრიგოლი ანდრიასძე ახალაიას სახელზე. ჩაითვალოს გაუქმებულად.

**დაკარგე** დამზღვევის წიგნაკი გაცემული თბილისის დამზღვევ სალაროდან განათლების მუშათა კავშირის წევრის ლიდა ნ. ჩხეიძის სახელზე ჩაითვალოს გაუქმებულად.

1—1

---

# ამიერ-კავკასიის რკ. გზების სამმართველო

ამით აცხადებს, რომ 1924 წ. 1 და 3 სექტემბერს დილის 10 საათზე თბილისის სალიკვიდაციო საწყობში (გორის ქუჩა, რკინისგზის ტერიტორიაზე)

# აუქციონით გაიყიდება

## ამიერ-კავკასიის რკინის-გზების სხვადასხვა სადგურებზე მოუკითხავი ტვირთები

**მეორე საჯარო. ვაჭრობა დარჩენილ ტვირთების გასასყიდად დაინიშნება იქვე 5, 6 და 8 სექტემბერს!**

ქვემოდ აღნუსხულია ტვირთების გადასაზავნ ფურცლების (Накладной) ნომრები, ტვირთები, ადგილების რიცხვი და წონა. დაწვრილებითი ცნობების მიღება შეიძლება თბილისის სალიკვიდაციო საწყობში, ხოლო საჯარო ვაჭრობის დღეებში, ვაჭრობის დაწყებამდე.

## 1. მოუკითხავი ტვირთები

№ 150770—ფიცრები ყუთებისათვის—8 ადგ. 8 ფ., № 652677—ფიცრები ყუთებისათვის—8 ადგ. 8 ფ., № 33479—ცალიერი ბოჭკები—2 ცალი 3 ფ., № 814617—ავტომობილების ნახმარი სახურავები 27 ცალი, № 6834—ალიუმინის კოვზები—552 ცალი, № 920—მუხის „კლიოპკები"—1496 ცალი, № 145563—წნელი—4 ფ. 13 გირ., № 648358—ხის ბოჭკები 2 ცალი—6 ფ. 15 გირ., № 112631—ფორმალინი 1 ადგ. 1 ფ. 15 გირ., № 117756—ხის ბოჭკები, 2 ცალი. 3 ფ. 20 გირ. № 654194—მანუფაქტურა 1 ადგ. 6 ფ. 9 გირ., № 73284—შკაფი 1 ადგ. 5 ფ. № 25163—სალესავი აპარატი—4 ცალი 3 ფ. 36 გ., № 646765—ცალიერი ხის ყუთები—6 ადგ. 2 ფ. 20 გირ., № 646911 — ძველი ყუთები 13 ადგ. 2 ფ. 8 გირ. № 20984—გაზეთები—1 ადგ. 2 ნახ. ფ., № 112375—ცალიერი ყუთები—1 ადგ. 1 ფ. 26 გ., № 10454—რბილი ჯიშის შუშა 1 ვაგონი 408 ფ., № 110858— საგიტაციო ლიტერატურა 1 ადგ. 1 ფ. 10 გირ., № 98511 მანქანა და კალაპოტები—1 ადგ. 10 ფ. 01 გირ., № 81424—პრობკები—2 ადგ. 2 ფ. 23 გირ., № 257459—წიგნები—1 ადგ. 1 ფ. 26 გირ., № 248264—წიგნები—1 ადგ. 3 ფ. 02 გირ., № 246182—შესახვევი ქაღალდი 1 ადგ. 4 ფ. 14 გირ., № 113165—უთოები—53 ცალი.—9 ფ. 3 გირ., № 51246—კალაპოტები—2 ადგ. 4 ფ. 12 გირვ., № 4681—ტომრების ნაჭრები—1 ადგ. 3 ფ. 13 გირ., № 85024—ნავთის ფეჩი 36 გირ., № 2211651—საშინაო ნივთები—1 ადგ. 1 ფ. 16 გირ., № 58925—საგიტაციო ლიტერატურა № 150092—გაზეთები 1 ადგ. 2 ფ. № 24613—ბოსტნეულის თესლი—35 ადგ. 90 ფ. № 149791 საიზოლიაციო პრობკა 250 ცალი, 322 ფ. № 107003—კანტორის წიგნები 1 ყუთი 5 ფ. 16 გირ., № 254790 კანტორის წიგნები—1 ადგ. 3 ფ. 35 გ., № 70908—ცეცხლის მძლე შკაფი—1 ადგ. 44 ფ. № 2242—ფქვილი ხორბლის—1 ადგ. 5 ფ. № 209469—ცალიერი ბოჭკები—25 ცალი, 103 ფუთი, № 474603—საგიტაციო მასალა 1 ადგ. 31 გირ., № 18882—მანუფაქტურა—2 ადგ. 3 ფ. 15 გირ., № 15804—შუშის სამელნეები—2 ყუთი 16 ფ. 13 გირ., № 55680 ლამპის „გორელკები" 1 ადგ. 1 ფ. 10 გ., № 45033— ფქვილი ხორბლის 1 ადგ, 3 ფ. 23 გ., № 45034—ფქვილი ხორბლის 1 ადგ. 3 ფ. 30 გ., № 45035—ფქვილი ხორბლის 1 ადგ.—3 ფუთი 33 გირვანქა, № 36188—რკინის „რეკლამა" 1 ად. 3 ფ. 10 გ., № 231509—ბილიარდის მაგიდა, 6 ად. 22 ფ. 23 გ., № 4214—საბაყლო საქონელი 1 ად. 1 ფ. 27 გ., № 35962—2 ად. 9 ფ. 30 გ., № 196591—საშინაო ნივთები 2 ად. 2 ფ. 37 გ., № 118056—ყავა (ციკორიი) 2 ად. 4 ფ. 20 გ., № 118055—ყავა (ციკორი) 1 ად. 2 ფ. 30 გ., № 254723— ლიტერატურა 3 ად. 18 ფ. № 62481—საშინაო ნივთები 3 ად. 10 ფ. 18 გ., № 7076 ყუთები ცალიერი 3 ად. 1 ფ. 35 გ., № 15695—რეკლამა 1 ად. 0 ფ. 17 გ., № 28278—პრესი თივისათვის 3 ად. 16 ფ. 20 გ., № 32261—პორტლანდიის ცემენტი 60 ბოჭკა 600 ფ., № 248265—დაბეჭდილი წიგნები 1 ყუთი. 3 ფ. 2 .გ., № 2540—ბარგი, 1 ად. 36 გირ., № 5883—ხერხები ბირდაბირი, 2 ადგ. 5 ფ. 10 გ., საფერავი-სალესი 1 ად. 13 ფ. 12 გ., რეზინის ღვედი, 1 ად. 7. ფ. 8.,გ. № 34727—ფქვილი ხორბლის, 2 ად. 38 ფ. № 34726—ფქვილი ხორბლის, 2 ად. 0 ფ. 34 გ., № 131—წიგნები; 1 ად. 2 ფ. 7 გ., № 7962 წიგნები, 1 ად. 1 ფ. 16 გ. № 387974—მანქანის ნაწილები რკინის, 24 ადგ. 129 ფ. 32 გ., № 28236—ფქვილი ხორბლის, 2 ად. 1 ფ., № 28235—ფქვილი ხორბლის, 2 ად. 1 ფ., № 39218—ცეცხლის მძლე აგური 1 ყუთი, 1 ფ. 34 გ., № 22999—ვარცლი, 1 ად., 1 ფ. 38 გ., № 32666—შკაფი 1 ადგ. 1 ფ. 18 გირვანქა. № 647019— ძველი ყუთები 11 ადგ. 3 ფ.

## 2. მოუკითხავი ბარგი.

№ 97734—საშინაო ნივთები, 1 ად. 1 ფ. 01 გ., № 16681—ბარგი 1 ად. 30 გ., № 2569 ბარგი, 1 ად. 7 გ., № 17199—სიმინდის ფქვილი 1 ად. 1 ფ. 30 გ., № 13—სპირტი, 26 ად. 1 ფ. 12 გ., № 138432—ბარგი, 1 ად. 27 გ. № 1795—ხის ბოჭკა 1 ადგ. 1 ფ. 05 გ. № 1010—ბარგი 1 ადგ. 08 გ. № 1169—ძველი ყუთები, 2 ადგ. 30 გ. № 13096—ძველი ხის ყუთები 2 ადგ. 1 ფ. 15 გ. № 1861—ხურჯინი ახალი, 1 ად. 03 გ., № 23187—სიმინდის ფქვილი, 1 ად. 3 ფ., № 18005—სიმინდის ფქვილი 1 ად. 1 ფ. 20 გ., № 5795—ცალიერი ბიდონი 1 ად. 20 გ., № 7539—სიმინდის ფქვილი 1 ადგ. 2 ფ., № 181518—ბოთლები შუშის, 2 ად. 2 ფ., № 8201—სხვადასხვა, 1 ად. 17 გ., № 8565—სხვადასხვა, 1 ადგ. 10 გ., № 9375—ძველი ჩექმები 1 ადგ., 2 გ. № 9645—ჩემოდანი ცალიერი, 1 ად. 07 გ., № 66243—თიხა, 1 ად. 4 ფ., № 4909—ცარიელი ტომრები, 3 ად. 3 ფ. 32 გ., № 79485—ცოცხები, 2 ად. 1 ფ. 13 გ., № 62111—ბარგი 1 ად. 27 გ. № 43239—სიმინდის ფქვილი 1 ად. 1 ფ. 30 გ., № 72685—ღვინის ბოჭკები ცალიერი 2 ად. 2 ფ. 2 გ., № 19112—წიგნის ფურცელი 1 ად. 3 ფ., № 26197—ბარგი 1 ად. 1 ფ., № 175095—სიმინდის ფქვილი 1 ად. 2 ფ. 22 გ., № 54930—ბარგი, 3 ადგ. 1 ფ. 20 გ., № 183988—ბარგი 1 ად. 1 ფ., № 1739—კალათი ნივთებით 1 ად. 9 გ., № 2997—ყუთები ცალიერი 2 ად. 1 ფ. 38 გ., № 1288—ყუთები ცალიერი 17 ად. 0 ფ. 30 გირ. № 94129—სიმინდის ფქვილი 1 ადგ. 4 ფ. 04 გ., № 2677—ტელეფონი 1 ადგ. 1 ფ. 21 გირ.

## 3. უდოკუმენტო ტვირთები.

№ 1006—სხვადასხვა საქ. 1 ად. 1 ფ. 03 გ., № 32—ფეჩი რკინის მილებით 5 ად. 31 გ. № 75 ავტომობილის მოწყობ. 2 ად. 1 ფ. 04 გ., № 620—სკივრი დიდი 1 ად. 90 ფ., № 76 ხელით წასაღები ბარგი 16 ად. 7 ფ. 8 გ., № 32—შესახვევი ქაღალდი 1 ად. 4 ფ. 35 გ., № 2160—ურმის თვლები 2 ად. 2 ფ. 18 გ., № 108—ბოჭკა ცალ ხის 1 ად. 3 ფ. 10 გ. № 184—ბოჭკა ცალიერი ხის 1 ადგ. 2 ფ. 20 გ., № 75907—სხვადასხვა 1 ად. 2 ფუთ. 27 გირ. № 1—ცემენტი 8 ბოჭკა 74 ფ., № 10 [illegible]ბი ძველი 1 ადგ. 1 ფ. 25 გ., № 4—წისქვილის ქვები, 2 ადგ. 122 ფ., № 236—სიმინდის ფქვილი 1 ადგ. 2 ფ. 20 გ., № 235—სხვადასხვა 1 ადგ. 03 ფ., № 234—სხვადასხვა 1 ადგ. 0 ფ. 04 გ., № 13 სხვადასხვა 6 ადგ. 37 ფ., № 247—გალიები ცალიერი 15 ფ., № 2603—ჭიქები ცალიერი 1 ყუთი 2 ფ. 30 გ., № 1056—თხილი 2 ადგ. 2 ფ. 20 გ., № 1987—თამბაქო 1 ადგ.. 1 ფ. 38 გ., № 540—ჩაი და თამბაქო 2 ადგ. 1 ფ. 19 გ. № 1451—კალციუმიანი სოდა 18 ბოჭ. 662 ფ. № 114—მარილი ზღვის 7 ადგ. 19 ფ. № 596—აბრეშუმის ნარჩენი (очески) 1 ადგ., 3 ფ. 05 გ. № 739—თამბაქო 3 ადგ. 16 გ., № 1062—საშინაო ნივთი—1 ადგ. 29 გ. № 30—ქვაბი სპილენძის, 1 ადგ. 5 ფ. № 91—ყუთი ხის, 1 ადგ. 1 ფ. 5 გ. № 320—პალტო ძველი 1 ადგ. 13 გ., № 1064—ხურჯინი ნივთებით 1 ადგ. 32 გ., № 321—ქუდი ტყავის 1 ადგ. 1 გ., № 374—ლოგინი. 1 ადგ. 6 ფ. № 375—სხვადასხვა, 1 ადგ. 2 ფ. 30 გ., № 1—ფულები ვერცხლის და სპილენძის ძველი ნიკოლოზის დროინდელი 80 ცალი № 22560—სხვადასხვა 6 ადგ. 22 გ.,

1—1 ბ. № 1447.

ტირაჟი—13,500

სტამბა „ზარია ვოსტოკა", საშ. წულუკიძის ქუჩა № 4.